ACADEMY OF HISTORY -ისტორიის აკადემია

ელექტრონული ბუკლეტი -ისტორია

I ნაწილი

- ✅ *ყველა პროგრამული მასალა*
- ✅ *საგაკვეთილო თემები*
- ✅ *თითოეულ თემაზე კონსპექტი და სავარჯიშოები*
- ✅ *იდეალურია აბიტურიენტებისთვის მომზადებისათვის და მასწავლებლებისთვის რესურსის სახით.*
- ✅ 💡*გისურვებთ წარმატებას!*

I თავი- 1 საგაკვეთილო თემა :

ძველი ეგვიპტე (სახელმწიფოს წარმოქმნა ,საშინაო და საგარეო პოლიტიკა ,რელიგია)

ძველი მსოფლიოს ბევრი ცივილიზაცია მდინარეების სანაპიროებზე აღმოცენდა: ეგვიპტური - ნილოსის, შუამდინარული - ტიგროსისა და ევფრატის, ინდოეთი- ინდისა და განგის,ჩინური - ხუანხესა და იანძის აუზებში.მდინარეებს ისეთი დიდი წვლილი მიუძღვით ამ ცივილიზაციების არსებობასა და განვითარებაში,რომ ხშირად მათ სამდინარო ცივილიზაციებადაც მოიხსენიებენ. მდინარეები ხელს უწყობდა მიწათმოქმედებისათვის ვარგისი მიწების მორწყვას,მათ აუზში მდებარე რეგიონებს შორის კომუნიკაციასა და ვაჭრობის განვითარება.

ძველი ეგვიპტის ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა მდინარე ნილოსმა.პირველი დასახლებები უშუალოდ მდინარის გასწვრივ შეიქმნა.სწორედ ამიტომ უწოდა ბერძენმა ისტორიკოსმა ჰეროდოტემ ეგვიპტეს ,,ნილოსის ნობათი“. ეგვიპტელთა სამეურნეო ყოფა მთლიანად მდინარე ნილოსის ყოველწლიურ ადიდებაზე იყო დამოკიდებული. ადიდების შედეგად ნილოსი ათასობით კვადრატულ კილომეტრს ტბორავდა.წყლის დონის დაკლების შემდეგ კი მდინარე უამრავ შლამს ტოვებდა. მოსახლეობა იწყებდა ამ შლამიანი მიწის დამუშავებას,რომელიც საუკეთესო იყო სახნავსათესად.იმ ადგილებში,სადაც ადიდებული მდინარე ვერ აღწევდა,ეგვიპტელებს წყალი არხებით გაჰყავდათ.

ძვ.წ.-ის IV ათასწლეულის ბოლოს,ეგვიპტეში ორი სამეფო ჩამოყალიბდა.ნილოსის სათავეებთან სამხრეთ,ანუ , ზემო ,ეგვიპტე მდებარეობდა, ნილოსის დელტაში კი - ჩრდილოეთ,ანუ ქვემო,სამეფო. ძვ.წ-ის 3000 წელს გაერთიანება მოახერხა ერთ სახელმწიფოდ სამხრეთელმა ფარაონმა მენესმა და ასე ჩაეყარა საფუძველი ეგვიპტის სახელმწიფოს წარმოქმას,რომლესაც (მეფე) ფარაონი (,,დიდი სახლი“) მართავდა. ეგვიპტელები ფარაონს ღმერთად მიიჩნევდნენ,ხოლო მთელ მოსახლეობას - მის მსახურებად. ამ სახელმწიფომ ყველაზე დიდხანს,სამი ათას წელს იარსება.



ამ ხნის მანძილზე ეგვიპტეში მმართველების,ფარაონების 33 დინასტია შეიცვალა. ისტორიკოსები დინასტიებს რომაული ციფრებით აღნიშნავენ და ეგვიპტის ისტორიას ძველ,შუა და ახალ სამეფოდ ყოფენ. ეგვიპტის ,,ოქროს ხანაა'' III-IV დინასტიების მმართველობის პერიოდი,რომელსაც ,,პირამიდების ეპოქას'' უწოდებენ. სწორედ ამ ეპოქის

ფარაონებმა დაიწყეს პირამიდების მშენებლობა. პირამიდები სამარხები იყო.

პირველი, ფარაონ ჯოსერის, საფეხურეობრივი პირამიდა იყო,რომელიც პირველი ვეზირისა და არქიტექტორის იმჰოტეპის გეგმით აიგო. მან მშენებლობაში ხისა და თიხის ნაცვლად პირველად გამოიყენა ქვა. IV დინასტიის ხანაში აიგო საყოველთაოდ ცნობილი - ფარაონების ხეოფსის,ხეფრენისა და მიკერენის პირამიდები (ადგილმდებარეობის მიხედვით,მათ გიზას პირამიდებს უწოდებენ).თუმცა სახელმწიფოს ხაზინა ვეღარ აფინანსებდა გრანდიოზულ მშენებლობებს,ამიტომ მოგვიანო ხანის პირამიდები შედარებით მომცრო ზომისაა. დედაქალაქი თავიდან მემფისი იყო,შემდეგ კი თებე გახდა.

თებეს მახლობლად ააშენეს ლუქსორისა და კარნაკის შთამბეჭდავი ტაძრები. შუა სამეფოს დაცემა განაპირობა ძვ. წ. XVII XVI სს.-ში აღმოსავლეთიდან ეგვიპტეში აზიური მომთაბარე სემიტური მოდგმის ტომების ჰიქსოსების შემოჭრამ. მათი სამხედრო განვითარება ეგვიპტელებისას აღემატებოდა. ცხენი, სწრაფი საბრძოლო ეტლები და მშვილდ-ისარი ეგვიპტისთვის მანამდე უცნობი იყო. დამპყრობელი ჰიქსოსები სწრაფად მოერგნენ ეგვიპტის ყოფას, შეითვისეს მათი კულტურა. თუკი ეგვიპტეს მანამდე ურთიერთობა მხოლოდ ლიბიასა და ნუბიასთან ჰქონდა, ამიერიდან ფარაონებმა აზიის ქვეყნებთანაც დაამყარეს ურთიერთობას.

ძვ. წ. XVI საუკუნეში თებეს ეგ ვიპტელებმა განდევნეს ჰიქსოსები. ეგვიპტის ერთიანობა აღდგა. ამ პერიოდს ახალი სამეფოს ხანას უწოდებენ. ეგვიპტე ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს იმპერიად გადაიქცა. თუტმოს III-ის (ძვ. წ. 1390-1353) არმია და ფლოტი ყოველწლიურად აწყობდა დიდ ლაშქრობებს აზიაში. ეგვიპტელთა სამხედრო ნაწილებმა მდინარე ევფრატამდე მიაღწიეს. თუკი მანამდე, ეგვიპტე კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა და ფარაონები მხოლოდ ნუბიის (დღევანდელი ეთიოპია) დალაშქვრას ახერხებდნენ,საიდანაც ოქროსა და სპილოს ძვლის,აგრეთვე ტყვეების წამოღებაწამოყვანა შეეძლოთ ახლა უკვე,თუტმოს მესამის არმია და ფლოტი ყოველწლიურად აწყობდა დიდ ლაშქრობებს აზიაში.

ეგვიპტეში მრავალღმერთიანობა იყო. აგებული იყო სხვადასხვა ტაძრები.ამ ტაძრების ქურუმებმა დროთა განმავლობაში დიდი გავლენა მოიპოვეს. ისინი ფარაონებსაც კი აღარ ეპუებოდნენ. ქურუმებს დაუპირისპირდა ფარაონი ამენჰოტეპ IV (ძვ. წ. 1353-1336). მან და მისმა მეუღლემ ნეფერტიტიმ გადაწყვიტეს, ერთი ღმერთის თაყვანისცემა დაეწესებინათ. ფარაონმა უარყო ყველა ეგვიპტური ღმერთი, ღმერთების სახელის ხსენებაც კი აკრძალა. მან ერთადერთ ღმერთად ღვთაება ატონი გამოაცხადა, რომელსაც მზის დისკოს სახით გამოსახავდნენ. ახალი

ღმერთის პატივსაცემად ფარაონმა სახელი შეიცვალა და ეხნატონი დაირქვა,ააშენა ახალი დედაქალაქი, ახეტატონი.



ფარაონმა უარყო ყველა სხვა ეგვიპტური ღმერთი და მათი სახელის ხსენებაც კი აკრძალა.ეს რეფორმები დროებითი აღმოჩნდა,ეხნატონის გარდაცვალების შემდეგ ქურუმებმა აღადგინეს ძველი ღმერთების კულტი.მათი ბრძანებით ეხნატონისა და ნეფერტიტის სახელები ეგვიპტეში ისევე იდევნებოდა,როგორც მანამდე თავად ისინი დევნიდნენ ეგვიპტურ ღმერთებს.

ფარაონი ტუტანხამონი

ეხნატონისა და ნეფერტიტის ვაჟი იყო ტუტანხამონი, რომელიც მხოლოდ იმითაა ცნობილი,რომ მისმა სამარხმა მოაღწია ჩვენამდე გაუძარცველად. ეხნატონის რეფორმა მონოთეიზმის (ერთღმერთიანობის) შემოღების პირველი წარუმატებელი მცდელობა იყო.

ძველ ეგვიპტელებს სწამდათ,რომ ბუნებასა და ადამიანების ცხოვრებას ღმერთები განაგებდნენ.ღმერთები მათ ადამიანების სახით ჰყავდათ წარმოდგენილი,რომლებსაც ცხოველის თავები ჰქონდათ.ეგვიპტელების რწმენით,თუ მიცვალებულის სხეულს კარგად შეინახავდნენ,მისი სული იცოცხლებდა,ამიტომ გარდაცვალების შემდეგ მდიდარი ეგვიპტელების

გვამების მუმიფიცირება ხდებოდა. ეგვიპტელების აზრით,საიქიოში ყველა ვერ მოხვდებოდა. გარდაცვლილთა სულებს ღმერთი ოსირისი ასამართლებდა. წესიერი ადამიანის სული საიქიოში ხვდებოდა.

ეგვიპტემ გაანახლა ბრძოლა ხეთებთან სირიისათვის. ამ ომის კულმინაცია იყო ქადეშის ბრძოლა ძვ.წ.-ის 1274 წელს. ამ დროს ეგვიპტის ფარაონი იყო რამსეს II ,ხეთების მეფე კი მუვათალი. ბრძოლაში ხეთების მეფე დაიჭრა და ეს ბრძოლა იმითი არის ცნობილი,რომ დაიდო პირველი საზავო ხელშეკრულება,რომლის ასლიც, გაეროს შტაბ-ბინაში ინახება.

რამსესმა დაამარცხა აგრეთვე ,,ზღვის ხალხები'' და სირიელები. რამზეს II ეგვიპტელები საწერ მასალად პაპირუსს იყენებდნენ და წერდნენ იეროგლიფური დამწერლობით.

იეროგლიფები გაშიფრა ფრანგმა მეცნიერმა ჟან ფრანსუა შამპოლიონმა 1822 წელს. ძვ.წ.-ის XI საუკუნიდან ეგვიპტე დასუსტდა. ჯერ ასურეთმა დაიმორჩილა ძვ.წ.-ის VII საუკუნეში, შემდეგ სპარსეთმა ძვ.წ. VI ს-ში ,მაკედონიამ,რომმა და ბოლოს ახ.წ.-ის VII საუკუნეში არაბების მიერ მისი დაპყრობის შემდეგ ძველი ეგვიპტე, საბოლოოდ წყვეტს არსებობას. ძველ ეგვიპტელთა პირდაპირ მემკვიდრეებად დღვანდელ ეგვიპტეში კოპტები არიან მიჩნეული.

კონსპექტი

- ეგვიპტე წარმოიქმნა ძვ.წ IV ათასწლეულში წყალდიდობის შედეგად , შექმნა მენესმა .
- ეგვიპტე ეწეოდა ჩაკეტილ პოლიტიკას , ფარაონები ნუბიისა და ოაზისებში ლაშქრობდნენ ოქროს , სპილენძის და სპილოს ძვლისთის.
- ძვ.წ XVII საუკუნეში გამოჩდნენ ჰიქსოსები (სემიტური ტომები). მათ დაამარცხეს ეგვიპტელები რადგან საბრძოლო უპირატესობით გამოირჩეოდნენ (საბრძოლო ეტლი) .
- ძვ.წ XVI საუკუნეში თუტმოს I მოახერხა ჰიქსოსებთან ასიმილაცია.
- ძვ.წ XV საუკუნეში თუტმოს III დაიწყო დაპყრობები აზიაში.
- ძვ.წ XIV საუკუნეში ამენხოტებ IV გაატარა რელიგიური რეფორმა შემოიღო ერთი ღმერთი ატონი ,გადაირქვა სახელი ეხნატონი და დაარსა ქალაქი ახეტატონი.
- ძვ.წ XIII საუკუნეში რამზეს II ებრძოდა ხეთებს , რაც საბოლოოდ ქადეშის ბრძოლით დასრულდა ძვ.წ 1274 წელს . ორივე მხარე თავს გამარჯვებულად თვლიდა ამიტომაც დაიდო საზავო ხელშეკრულება.(პირველი ურთიერთთანასწორი ხელშეკრულება)
- ეგვიპტეს საბოლოოდ არაბები ანადგურებს.

1 -ლი საგაკვეთილო თავის 1-ლი საგაკვეთილო თემის სავარჯიშოები

•ტესტები

1.რომელი არ მიეკუთვნება უძველეს სამდინარო ცივილიზაციებს?

ა .ინდოეთი ბ. ეგვიპტე გ. ჩინეთი დ. საბერძნეთი

2.სად მდებარეობდა ქვეყანა ეგვიპტე?

ა)მცირე აზიიის აღმოსავლეთ ნაწილში

ბ)ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე

გ)აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში

დ)აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში

3.რომელ თასწლეულში ჩამოყალიბდა ეგვიპტური ცივილიზაცია?

ა) ძვ.წ-ის V ათასწლეულში

ბ)ძვ.წ-ის IV ათასწლეულში

გ)ძვ.წ-ის III ათასწლეულში

გ)ძვ.წ-ის II ათასწლეულში

4.ვინ გააერთიანა ქვეყანა ეგვიპტე და რომელ წელს?

ა) ძვ.წ-ის 4 2000 წელს რამზესმა

ბ) ძვ.წ-ის 3 400 წელს თუტმოსმა

გ)ძვ.წ-ის 3 200 წელს ამონხოტეპმა

დ)ძვ.წ-ის 3 000 წელს მენესმა

5.ეგვიპტის გაერთიანების შემდეგ რომელი ქალაქი გახდა მისი დედაქალაქი?

ა) თებე ბ) მემფისი გ)ახეტატონი დ)ქაირო

6.რომელი დინასტიების პერიოდი ითვლება ეგვიპტის ოქროს ხანად?

ა) III- IVდინასტიები

ბ) II –IV დინასტიები

გ) III – V დინასტიები

დ) IV-V დინასტიები

7. იმჰოტეპის სახელთან დაკავშირებულია:

ა) ტაძრების მშენებლობა

ბ) პირამიდების მშენებლობა

გ)სარწყავი არხების გაყვანა

დ)დამცავი დამბების მშენებლობა

8.ჰიქსოსები ეგვიპტეში შეიჭრნენ:

ა)ძვ.წ-ის XVIII საუკუნეში

ბ)ძვ.წ-ის XVII საუკუნეში

გ)ძვ.წ-ის XV საუკუნეში

9.რა გადაიღეს ეგვიპტელებმა ჰიქსოსებისგან?

ა) შუბების დამზადება

ბ)ეტლების დამზადება

გ)პირამიდების მშენებლობა

10.რომელ საუკუნეში განდევნეს ეგვიპტელებმა ჰიქსოსები რითაც დაიწყო ახალი სამეფოს ხანა?

ა)ძვ.წ-ის XVI საუკუნეში

ბ)ძვ.წ-ის XV საუკუნეში

გ) ძვ.წ-ის XIVსაუკუნეში

დ)ძვ.წ-ის XIII საუკუნეში

11.ვინ განავრცო ეგვიპტის ძალაუფლება ყველაზე შორს და რომელ საუკუნეში?

ა)ამონხოტეპ IV ძვ.წ-ის XIV საუკუნის პირველ ნახევარში

ბ) თოტმეს III ძვ.წ-ის XV საუკუნის პირველ ნახევარში

გ) ტუტანხამონმა ძვ.წ-ის XIII საუკუნის პირველ ნახევარში

დ)რამზე სII ძვ.წ-ის XII საუკუნის მეორე ნახევარში

12.ვინ გაატარა ეგვიპტეში რელიგიური რეფორმა და ერთღმერთიანობა დააწესა?

ა) რამზეს II ბ) ამონხოტეპ IV გ)ტუტანხამონმა დ)თუტმოს III

13.რომელ ფარაონს აღიარებენ მსოფლიოს პირველ პიროვნებად?

ა)ამონხოტეპ IV -ს ბ) რამზეს II -ს გ) ჯოსერს დ)თუტმოს III -ს

14.რელიგიური რეფორმის შედეგად რომელი ღმერთის თაყვანისცემა დამკვიდრდა ეგვიპტეში?

ა) ამონის ბ)რას გ) ატონის დ) იუნონას

15.რა სახელი დაირქვა ამონხოტეპ IV?

ა)ეხნატონი ბ) რამონი გ) ეხნამონი დ)დანტონი

16.რელიგიური რეფორმის შედეგად ეგვიპტის დედაქალაქი გახდა:

ა)თებე ბ) მემფისი გ)ახეტატონი დ) ქაირო

17. რომელ წელს მოხდა ქადეშის ბრძოლა ეგვიპტელებსა და ხეთებს შორის?

ა) ძვ.წ-ის 1278 წ ბ)ძვ.წ-ის 1275 წ გ) ძვ.წ-ის 1274 წ დ)ძვ წ-ის 1272 წ

18.რომელი ფარაონის პირამიდა აშენდა თავდაპირველად?

ა)მენესის ბ)ტუტანხამონის გ) ჯოსერის დ)ხეოფსის

19.რომელი ტერიტორიის გამო მიმდინარეობდა ბრძოლა ეგვიპტელებსა და ხეთებს შორის?

ა) სირიისთვის

ბ)აფრიკისთვის

გ) შუამდინარეთისთვის

დ)აზიისთვის

20. სხვა მიზეზებთან ერთად რამ განაპირობა საბოლოოდ ფარაონ ამენჰოტეპ (ამენხოტეპ) IV-ის რელიგიური რეფორმის მარცხი?

ა) ქვეშევრდომების აჯანყებამ;

ბ) ქურუმების წინააღმდეგობამ;

გ) მომთაბარე ჰიქსოსების მარბიელმა თავდასხმებმა;

დ) პირამიდების მშენებლობებით გამოწვეულმა კრიზისმა

• ახალი ტიპის სავარჯიშო

ძვ.წ. 1353 წელს ამენხოტეპ IV-მ ეგვიპტეში აკრძალა ძველი ღმერთების ხსენება და აქამდე უმნიშვნელო ღვთაება ატონი უზენაეს ღმერთად გამოაცხადა. ამ გადაწყვეტილებამ ამონ-რას და სხვა ღმერთების კულტის მსახურებთან დაპირისპირება გამოიწვია.

(1ქ.) 1. დაასახელეთ ერთი კონკრეტული მიზეზი, რომელმაც განაპირობა ეს დაპირისპირება.

(1ქ.) 2. დაასახელეთ ამ დაპირისპირების ერთი კონკრეტული შედეგი.

(1ქ.) 3. ახსენით, ვისთვის შეიძლება ყოფილიყო დადებითი შედეგის მომტანი ეს დაპირისპირება, ფარაონისა და ძველი ღმერთების კულტის მსახური ქურუმების გარდა. თქვენი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ ერთი არგუმენტით მაინც.

(1)4. ახსენით, ვისთვის შეიძლება ყოფილიყო ეს დაპირისპირება უარყოფითი შედეგის მომტანი, ფარაონისა და ძველი ღმერთების კულტის მსახური ქურუმების გარდა. თქვენი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ ერთი არგუმენტით მაინც

(2)5. საქართველოს ისტორიიდან დაასახელეთ ამ მოვლენის ანალოგიური მოვლენა და დაიმოწმეთ ორი ფაქტი ამ ანალოგიის დასასაბუთებლად.

I თავი - 2.საგაკვეთილო თემა :

შუამდინარეთის ცივილიზაცია (ქალაქ-სახელმწიფოები, აქადი, ბაბილონის სამეფო, რელიგია და კულტურა). ასურეთი (საშინაო და საგარეო პოლიტიკა).

ძველი შუამდინარეთის ცივილიზაცია ძველთაგანვე მდინარეებს ევფრატსა და ტიგროსს შორის არსებულ ტერიტორიას შუამდინარეთს, ანუ მესოპოტამიას, უწოდებდნენ. მესოპოტამია ბერძნული სიტყვაა და ქართულად ორ მდინარეს შორის არსებულ ქვეყანას ნიშნავს. შუამდინარეთი უძველესი დროიდან იყო დასახლებული.

მესოპოტამიაში ორი სხვადასხვა ხალხი მოსახლეობდა: სამხრეთით _ შუმერები და ჩრდილოეთით _ სემიტები (აქადელები), რომლებიც აქ სირიიდან მოვიდნენ, თანდათანობით გაერთიანეს შუამდინარეთი (ცენტრი გახდა ქ. აქადი) და რადგან შუმერებთან შედარებით განვითარების დაბალ დონეზე იდგნენ, თანდათან მათი კულტურა შეითვისეს.

შუმერებს ერთიანი სახელმწიფო არ ჰქონიათ. შუმერების ქალაქები _ ური, ურუქი, ლაგაში, უმა და სხვები, რომლებიც ადგილობრივი ღვთაებების პატივსაცემად აგებული ტაძრების ირგვლივ იყო გაშენებული, გარშემო არსებული ოლქით პატარ-პატარა სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. შუმერებმა ერთ-ერთ დიდ ცივილიზაციას დაუდეს საფუძველი. გამოიგონეს ბორბალი, ეტლი, სამეთუნეო ჩარხი და გუთანი.



შუმერებმა შექმნეს პირველი კანონთა კრებული, მათემატი კის საფუძვლები, რომელსაც სკოლებშიც ასწავლიდნენ. მათ იცოდნენ თვლის ათობითი სისტემა, წილადები, აგრეთვე კვადრატული ფესვის ამოღება და ორუც ნობიანი განტოლების ამოხსნა. შუმერების უდიდეს მიღწევად ითვლება დამწერლობის გამოგონება.

IV ათასწ. ბოლოთი თარიღდება პიქტოგრაფიული (ხატოვანი) დამწერლობის პირველი ნიმუშები _ 500 თიხის ფირფიტა. შუმერები საწერ მასალად თიხას იყენებდნენ. სველ თიხას ფირფიტის ფორმას აძლევდნენ, შემდეგ კი მასზე წერდნენ და აშრობდნენ. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა ათასობით ფირფიტის ტექსტი, მათ შორის სკოლის მოსწავლეთა ჩანაწერები.

○ ბაბილონი

ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულსა და III ათასწლეულის დასაწყისში შუა მდინარეთში ჩრდილოეთიდან სემიტური ტომები შემოიჭრნენ. ისინი ჩრდილოეთ შუამდინარეთში გაბატონდნენ და იქ აქა დის ქალაქ-სახელმწიფო ჩამოაყალიბეს.

ძვ. წ. III ს.-ში ჩრდილოეთ შუამდინარეთში, აქადის სამეფოში, ახალგაზრდა მეფე სარგონი გამეფდა. მან შეძლო ძლიერი არმიის შექმნა, შემდეგ კი სამხრეთით შუმერების წინააღმდეგ გაილაშქრა. სარგონმა შუმ ერთა ქალაქები დაიპყრო და სპარსეთის ყურემდე მიაღწია. შუამდინარეთი ამიერიდან ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, რომელსაც სათავეში სემიტური წარმოშობის აქადური დინასტია ედგა.

ძვ. წ. XVIII საუკუნეში ამ ბრძოლაში აქტიურად ჩაება ქალაქი ბაბილონი. მალე გაერთიანებული სამეფოს ცენტრი სწორედ ბაბილონი გახდა. იგი მესოპოტამიის სავაჭრო, რელიგიურ და სამეცნიერო ცენტრად იქცა. ბაბილონმა შეითვისა შუმერულ-აქადური კულტურა, ქალაქის მფარველი ღვთაება მარდუქი მესოპოტამიის წამყვან კულტად ჩამოყალიბდა.

ბაბილონის სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა მეფე ხამურაბის პერიოდში (ძვ. წ. 1792-1750 წწ.). მან დაიპყრო უძველესი სამდინარო ცივილიზაციები - შუმერი და სხვა მეზობელი ქვეყნები, ხელთ იგდო იმ დროისათვის შუამდინარეთზე გამავალი მთავარი სავაჭრო გზები.

ხამურაბმა თავის სამეფოში მრავალი რეფორმა ჩაატარა. მსოფლიო ისტორიაში იგი შევიდა, როგორც ერთ-ერთი უდიდესი კანონმდებელი. მან შექმნა 282 მუხლისაგან შემდგარი კანონთა კრებული.

ხამურაბის სიკვდილის შემდეგ ბაბილონის სამეფო დასუსტდა. ძვ. წ. X ს.-ში კი ასურეთის სახელმწიფომ რამდენჯერმე დალაშქრა ბაბილონი და თავის საზღვრებში მოაქცია ის.

ძვ. წ. VII ს.-ის დასაწყისში ასურელებმა ბაბილონი დაიმორჩილეს. იმავე საუკუნის ბოლოს ბაბილონის ძლირება კიდევ ერთხელ აღდგა. ის განსაკუთრებით გაძლიერდა ნაბუქოდონოსორის (ძვ. წ. 604-562) დროს, როდესაც ბაბილონის სამეფოს საზღვრები ხმელთაშუა ზღვასა და სპარსეთის ყურეს შორის გადაიჭიმა. მან არაერთი კულტურულ-სამშენებლო ღონისძიებაც განახორციელა. განაახლა ღვთაება მარდუქის ტაძარი და ქალაქის გალავანი, ააგო ბაბილონის კოშკი (გოდოლი) და დაკიდებული ბაღები, რომელიც ძველმა ბერძნებმა მსოფლიოს ერთ -ერთ საოცრებად მიიჩნიეს.

მისი მეფობის დროს ბაბილონი მსოფლიოს უდიდეს ქალაქად და ვაჭრობის ცენტრად იქცა. თუმცა ნაბუქოდონოსორის მემკვიდრენი უუნარონი აღმოჩნდნენ. ბაბილონის სამეფო კვლავ დასუსტდა. ძვ. წ. 546-538 წწ. ბაბილონი სპარსეთის აქემენიანმა მეფე კიროსმა დაიპყრო.

○ ***ასურეთი -მილიტარისტული სახელმწიფო***

ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარში არაბეთის ნ./კ.-იდან წინა აზიაში შემოჭრილი სემიტური ტომების შთამომავლები იყვნენ ასურელები, ანუ ასირიელები. მათი დასახლების ცენტრს წარმოადგენ და ქ. ასური (ბერძნ. ფორმა"ასირია"). ასურეთი მდ. ტიგროსის შუა და ზემო წელზე მდებარეობდა. ჩრდილოეთ მაღალმთიანეთში თავიდანვე განვითარ და მესაქონლეობა, სამხრეთ შუამდინარეთის დაბლობებში კი _ მიწათმოქმედება. ბუნებრივი საზღვრების (ზღვებისა და ქედების) არქონის გამო ასურელებს არსებული ტერიტორიის შესანარჩუნებლად გამუდმებული ბრძოლა უწევდათ. ასურეთის მდებარეობის გამო მის ტერიტორიაზე გადიოდა ძირითადი სავაჭრო მარშრუტები.ტერიტორიის და სავაჭრო გზების დასაცავად ასურელები მეომარ ხალხად ჩამოყალიბდნენ .

თავდაპირველად ასურელები ბაბილონსა და მითანს ემორჩილებოდნენ. ძვ. წ. XV-XIV სს.-იდან ასურეთი დამოუკიდებელი სამეფოა. ასურეთის მეფეებმა თანდათან დაიპყრეს მეზობელი ქვეყანა _ მითანის სამეფო და ხეთური ოლქები. ასურეთის ტერიტორია განსაკუთრებით გაიზარდა მეფე ტიგლათფილესერ I-ის (1115-1077 წწ.) დროს. ჩრდილოეთით მან "ნაირის" ქვეყნები დალაშქრა.

სამხრეთით კი ქალაქი ბაბილონი დაიპყრო და ფინიკიის ქალაქები დახარკა. ასურეთის ძლიერებას დროდადრო საფრთხეს უქმნიდნენ დასავლეთიდან შემოჭრილი არამეული ტომები, ჩრდილოეთიდან კი _ ურარტუს სამეფო.

სურ. 2 მფრინავი ხარი დურ-შარიქინიდან

ასურეთის ხელახალი გაძლიერება (ე. წ. "ახალასურული ხანა") დაკავშირებულია ძვ. წ. VIII ს.-ში ტიგლათფილესერ III-ის რეფორმებთან ადმინისტრაციულ და სამხედრო სფეროში. მან შექმნა სამხედრო არისტოკრატიის პრივილეგირებული ფენა, ბრინჯაოს იარაღი შეცვალა რკინის იარაღით, არმიაში შექმნა კავალერია და დახვეწა საომარი ეტლების ფორმა. ქვეითი ჯარის წამყვან ძალას რკინის ჯავშნით

შეჭურვილი და ხის დიდი ფარით დაცული მშვილდოსნები წარმოადგენდნენ.განსაკუთრებული გამოგონებაა მასობრივი დეპორტაცია, (გადასახლება) იმპერიაში იძულებული ასიმილაციის მიზნით. ეს წესი ასახულია ასურულ წყაროებში, ასევე ბიბლიაში , სადაც მოთხრობილია ისრაელის ხალხის დეპორტაციის ამბავი (ძვ.წ 722) , მოგვიანებით ეს ხერხი ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა გამოიყენა იუდას (ისრაელის) სახელმწიფოს მიმართ.

მისი მემკვიდრის სარგონ II-ის (ძვ. წ. 722-705) დროს ასურეთი კიდევ უფრო გაძლიერდა. სარგონმა დალაშქრა ურარტუ, ბაბილონი. მისმა ვაჟმა სინაქერიბმა ახალ დედაქალაქად ქ. ნინევია აირჩია. გარეგნული ძლევამოსილებისა და დიდების მიუხედავად, ასურეთი შინაგან მაკრიზისმა მოიცვა. ხანგრძლივმა დაპყრობითმა ომებმა ქვეყნის რესურსები გააჩანაგა, სამეფო საგვარეულოს შიგნით ტახტისთვის ბრძოლა ხშირად სახელმწიფო გადატრიალებით მთავრდებოდა. შინაურ ქაოსს გარეშე საფრთხეც დაემატა. ასურეთის წინააღმდეგ გაერთიანდ ნენ ბაბილონი და მიდია. ბაბილონის მეფე ნაბოფალასარმა სამხრეთიდან შეუტია ასურეთს, ხოლო მიდიის მეფე კიაქსარმა _ ჩრდილოეთიდან. მათი ჯარები ქ. ასურთან შეხვდნენ ერთმანეთს. 612 წელს მოკავშირეებმა ნინევია აიღეს. 605 წელს ქარხემიშთან ბაბილონის მეფე ნაბუქოდონ ოსორმა საბოლოოდ დაამარცხა ასურეთის უკანასკნელი მეფე ასურუბალიტი.

ასურეთი განადგურდა მისივე ჰარაზიტული ეკონომიკის გამო, რადგან მეურნეობა არ იყო ინტესიური და მამაკაცთა უმეტესობა ომში მონაწილეობდა , ვერ ხდებოდა სოფლის მეურნეობის განვითარება. ამან იმპერია დაასუსტა და საბოლოოდ განადგურებამდე მიიყვანა.

○ *დიაოხი და კოლხა*

უძველესი ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულები ძველაღმოსავლურ ხანაში დიაოხი- ძვ.წ II ათასწლეულის ბოლოს სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში ჩამოყალიბდა ტომთა ძლიერი გაერთიანება მათ ასურული ლურსმული წარწერები " ზემო ზღვის ხალხებად „ და „ნაირის ქვეყნებად" მოიხსენიებენ ,რომელთა სათავეში დიაენი ანუ დიაოხი იდგა ,ბერძნული წყაროები დიაოხს ტაოს უწოდებენ ,ურარტული წარწერები დიაოხს. უძველეს ცნობას დიაოხის შესახებ ძვ.წ 1112 წლის ასურული წარწერა, რომელშიც საუბარია ასურეთის მეფის ტიგლათფილასარ I ის ლაშქრობა "ნაირის ქვეყნებში",მას დაუმარცხებია ნაირის ქვეყნების 60 მეფე ,ხოლო სიენი დიაოხის მეფე ,მას არ დამორჩილებია ,რის გამოც ტიგლათფილასარ I ს იგი ქალაქ აშურში წაუყვანია და მანამ არ გამოუშვია სანამ სიენმა მას მორჩილების პირობა არ მისცა.



დიაენი ანუ დიაოხი ქართველ ტომთა ძველაღმოსავლური გაერთიანება იყო.მისი საზღვრები სამხრეთით ვრცელდებოდა ქალაქ ერზრუმის მიდამოებამდე, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით მისი გავლენა შავ ზღვავდე აღწევდა. დიაოხის დასაპყრობად იბრძოდა ურარტუც.მისმა მეფეებმა მენუამ (ძვ .წ IX-VIII საუკუნეების მიჯნაზე) და არგიშთ I მა (ძვ.წ VIII) არაერთხელ ილაშქეს დიაოხში,დაანგრიეს ციხე-სიმაგრეები, ქვეყანას დააკისრეს ხარკი, მენუას დაუმორჩილებია დიაოხის მეფე უტუფუსი .ურარტუს შემოსევებმა დაასუსტა დიაოხი ,მის საბოლოო განადგურებაში მონაწილეობდა კოლხეთი (დასავლეთ საქ-ლოს გაერთიანება).ძვ.წ VIII საუკუნის ბოლოს დიაოხმა არსებობა შეწყვიტა,ხოლო მისი დიდი ნაწილი კოლხეთმა დაიკავა.

- *სიენი და უტუფუსი - დიაოხის მეფეები*
- *ასურეთის მეფე - ტიგლათფილასარ I*
- *ურარტუს მეფეები მენუა (ძვ.წ 786 ილაშქრა) და არგიშთ I (ძვ.წ 764)*

კოლხეთი

ძველბერძნული წყაროები კოლხას (კოლხითას) სახელით მოიხსენიებენ , ძვ.წ XIV საუკუნეების მიკენური და ძვ.წ XII საუკუნის ასურულ წყაროებში გვხვდება კოლხების შესახებ ცნობები. ასურული წყაროები კოლხეთის ტერიტორიაზე ათეულ მეფეს ესეიგი ტომთა ბელადს მოიხსენიებს. კოლხას ძლიერ ხანად ითვლება ძვ.წ XI -VIII საუკუნე. თანდათან კოლხეთის სოციალურ ეკონომიკური პირობებიც იცვლება ,გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს გვაროვნული არისტოკრატიის წარმომადგენლები.კოლხაში ფართოდ ვითარდებოდა მეტალურგია , განსაკუთრებით რკინის წარმოება.შავი ზღვის სანაპიროები მდიდარი იყო რკინის საბადოებით ,აქაური ტომები მაგალითად ხალიბები , განთქმული იყვნენ რკინის დამუშავებით. კოლხას აზიურ კულტურასთანაც ფართო კავშირი ჰქონდა .

კოლხეთის განვითარებულობაზე მეტყველებს არქეოლოგიური მასალა ,აღმოჩენილია უამრავი კოლხური ბრინჯაოს და რკინის საბრძოლო იარაღები. ძვ.წ IX-VIII საუკუნეში კოლხეთმა მისი ბატონობა განავცო დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილზე, ურარტუსთან ერთად გაანადგურა დიაოხი და მიიერთა მისი ჩრდილო ნაწილი.

კოლხეთის შესახებ ცნობებს გვაწვდის მითი არგონავტების შესახებ.



ურარტუსთან ალიანსი დიდხანს არ გარგძელდა .ძვ.წ VIII საუკუნიდან კოლხეთის წინააღმდეგ იბრძვის ურარტუ , სარდურ II ორჯერ ილაშქრა

კოლხეთში, დაიპყრო ილდამუში (დედაქალაქი).ამ ბრძოლებმა დაასუსტა კოლხეთი ,რასაც თან დაერთო ჩრდილოეთიდან კიმერიელების შემოსევები ,ხოლო მოგვიანებით კასპიის ზღვის და დარიალის ხეობიდან შემოიჭრნენ სკვითები. როცა ურარტუს სახელმწიფო განაგურდა ისინი შეერიენ ქართველურ ტომებს .

კონსპექტი

✓ ბაბილონი -

- დედაქალაქი მარდუქი
- ბაბილონი - ქალდეური ტომები, წარმოიქმნა ძვ.წ II ათასწლეულში.
- მდებარეობდა იქ სადაც ტიგროსი და ევფრატი ერთმანეთს ყველაზე მეტად უერთდება.
- გამორჩეული მეფეები: ხამურაბი (ძვ.წ XVIII საუკუნე) კანონები, დიორიტის შავ სტელაზე არის დაწერილი. ნაბუქოდონოსორი გოდოლი, დაკიდებული ბაღები , ბაბილონის გაძლიერება.
- ბაბილონი გაანადგურა ძვ.წ 539 წელს სპარსეთის მეფე კიროსმა .

✓ ასურეთი- მეომართა იმპერია

- ასურეთი შეიქმნა ძვ.წ II ათასწლეულში, ზეგნიდან მოსულმა ხალხმა დაარსა.
- დედაქალაქი -აშური და ნინევა .ღმერთი- აშური
- ძვ.წ XII ათასწლეული ტიგლათფილასარ I გაძლიერა ასურეთის იმპერია .
- სიძლიერის ხანა- ძვ.წ 883-614-12 წლები.
- ასურეთის მეფეებმა დაიპყრეს არამ-დამასკო (ძვ.წ 732 წ) ისრაელი (ძვ.წ 722) ეგვიპტე (ძვ.წ 671) , ურარტუ (ძვ. 714) და ფინიკიის ქალაქები(ტიროსი ,სიდონი , ბიბლოსი)
- ასურებმა გამოიგონეს დეპორტაცია (გადასახლება)სამხედრო ხიდები და გზები.
- ძვ.წ VIII საუკუნეში ტიგლათფილასარ I მა გაატარა სამხედრო რეფორმა.
- ასურეთი განადგურდა ჰარაზიტული ეკონომიკის გამო .
- ასურეთი ძვ.წ 605 წელს ქარხემიშის ბრძოლაში გაანადგურა მიდიამ, სკვითებმა , ბაბილონმა.

✓ დიაოხი, კოლხა

- დიაოხი- ქართველური ტომობრივი გაერთიანება დიაოხი ძვ.წ XIII საუკუნეში გაძლიერდა.
- დიაოხს მოიხსენიებენ : ასურული წყაროები , როგორც დიაენი , ურარტული წყაროები როგორც დიაოხი , ბერძნები კი როგორც ტაო,დიაო

- *დიაოხში ილაშქრა ასურეთის მეფე ტიგლათფილასარ I-მა ძვ.წ 1112 წელს , დიაოხის მეფე იყო სიენი , რომელიც წაიყვანა ასურეთში და დააფიცა მორჩილება ღვთაება აშურთან.*
- *დიაოხში ილაშქრა ურარტუს მეფეებმა მენუამ I და არგიშთმა , მაშინ უტუფუსი იყო დიაოხის მეფე.*
- *დიაოხი გაანადგურა ურარტუმ და კოლხამ ძვ.წ VIII საუკუნეში.*
- *კოლხა_ კოლხეთის შესახებ ცნობებს გვაწვდის მიკენური , ბერძნული , ასურული და ურარტული წყაროები.*
- *განსაკუთრებით გაძლიერდა ძვ.წ XI-IX საუკუნეში.*
- *გამოირჩეონენ მეტალურგიით რკინის მწარმოებელი ხალხი ხალიბები კოლხეთში.*
- *კოლხეთის შესახებ ცნობებს გვაწვდის მითი არგონავტების შესახებ.*
- *ძვ.წ VIII საუკუნიდან ურარტუ იბრძვის კოლხას წინააღმდეგ, სარდურ II ორჯერ დალაშქრა კოლხეთის სამეფო ქალაქი ილდამუში.*
- *კოლხები გაანადგურა კიმერიელებმა და სკვითებმა.*

1-ლი საგაკვეთილო თავის მე-2 თემის სავარჯიშოები

- ტესტები

1.ვინ გაინაწილა დიაოხის ტერიტორიები

ა. ასურეთმა და ურარტუმ

ბ. სკვითებმა და კიმერიელებმა

გ. ურარტუმ და კოლხა

დ. ურარტუმ და მიდიამ

2. რომელი მხრიდან შეიჭნენ კიმერიელები და სკვითები კავკასიაში და მახლობელ აღმოსავლეთში ?

ა. აღმოსავლეთიდან

ბ.დასავლეთიდან

გ. სამხრეთიდან

დ. ჩრდილოეთიდან

3. ვისი შემოსევების შედეგად განადგურდა კოლხა

ა. ურარტუს

ბ .დიაოხის

გ.ასურეთის

დ.სკვითების და კიმერიელების

4. რატომ არ იხსენიება კოლხა ძც.წ XII -XI სს ასურულ წარწერებში?

ა. ასურეთი დიაოხს ესაზღვრებოდა და მათ მეფეებს კოლხაზე ხელი ჯერ არ მიუწვდებოდათ

ბ. კოლხა ასურებზე ძლიერი იყო და ასურული წარწერები მხოლოდ გამარჯვებებს იხსენიებენ

გ. ასურეთი და კოლხა მოკავშირეები იყვნენ და ასულეთის მეფეები კოლხას თავს არ ესხმოდნენ

დ. ასურეთსა და კოლხას შორის ურარტუ მდებარეობდა

5. ასურეთის დედაქალაქი იყო

ა.ტუშპა

ბ.ბაბილონი

გ.ნინევია

დ. მემფისი

6. რა იყო ასურეთის სამხედრო სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ერთ-ერთი მიზეზი

ა. მათ ტერიტორიაზე გადიოდა ძირითადი სავაჭრო მაგისტრალები

ბ. მათ ტერიტორიაზე მოიპოვებოდა ოქრო

გ. მათ პირველად გამოიყენეს სამხედრო ეტლები

დ. მათ პირველებმა შექმნეს ფალანგა

7. რომელმა ქვეყანამ დაიპყრო ასურეთი ძვ.წ VI ს-ში?

ა.ურარტუმ

ბ.ბაბილონმა

გ. აქამენიანთა ირანმა

დ.ხეთებმა

8. ძველი აღმოსავლეთის რომელ ქვეყანასთან ჰქონდა ურთიერთობა დიაოხსაც და კოლხას

ა. ასურეთთან

ბ.ურარტუსთან

გ. სკვითებთან დ.კიმერიელებთან

დ.საბერძნეთი

9. ასურეთის რომელმა მეფემ დალაშქრა დიაოხი

ა.ტიგლათფილასერ I

ბ. სარდურ I

გ. სარგონ I

დ. სარგონ II

10. ვინ აიღო კოლხას სამეფო ქალაქი ილდამუშა ?

ა. ურარტუს მეფე მენუა

ბ. ასურეთის მეფე ტიგლადფილესერმა

გ. ურარტუს მეფე არგიშთმა

დ. ურარტუს მეფე სარდურ II -მ

11. ვის წარწერაში იხსენიება დიაოხის მეფე სიენი?

ა.ურარტუს მეფე მენუას

ბ. ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I-ის

გ.ურარტუს მეფე არგიშთის

დ. ურარტუს მეფე სარდურ II-ის

12. ვინ გაანადგურა ასურეთის სახელმწიფო :

ა. მიდიამ და ბაბილონმა

ბ. სკვითებმა და კიმერიელებმა

გ. ურარტუმ და ფინიკიამ

დ. ეგვიპტემ და ხეთებმა

13. ასურელები მათგან ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებს უწოდებდნენ საერთო სახელს

ა.ურარტუს ქვეყნებს

ბ.დიაოხის ქვეყნებს

გ. ნაირის ქვეყნებს

დ.კოლხას ქვეყნებს

14. რომელი ინფორმაციაა მართებული დიაოხის შესახებ?

ა) დიაოხი მეზობლებმა გაანადგურეს, სამხრეთი ურარტუმ დაიკავა, ჩრდილოეთის მხარეები კი - კოლხამ;

ბ) აღმოსავლეთიდან პონტოს სამეფოს, ხოლო დასავლეთიდან იბერიის შემოტევას დიაოხმა ვეღარ გაუძლო და არსებობა შეწყვიტა;

გ) მიდიის სამეფოსთან ომმა დიაოხი დაასუსტა და ვეღარ გაუძლო ჩრდილოეთიდან შემოჭრილი ჰუნების შემოტევას;

დ) ჩრდილოეთიდან მომთაბარეების შემოსევებმა დაასუსტა დიაოხი, რამაც მეზობელ კოლხას მისი დაპყრობა გაუადვილა

15. რომელი ინფორმაციაა მართებული დიაოხისა და მეზობელი სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ?

ა) ასურეთის მეფეებმა სინაქერიბ I-მა და აშურუბალიტმა ხანგრძლივი ბრძოლის მიუხედავად მაინც ვერ მოახერხეს დიაოხის საბოლოო დამორჩილება;

ბ) ურარტუს მეფეებმა მენუამ და არგიშთი I-მა რამდენჯერმე წარმატებით ილაშქრეს დიაოხის წინააღმდეგ;

გ) მიდიის მეფეებმა კიროს დიდმა და ქსერქსე I-მა დაამარცხეს დიაოხი და ყოველწლიური ხარკი დააკისრეს;

დ) ხეთების მეფეებმა ლაბარნამ და მურსილ I-მა ხანგრძლივი ომების შემდეგ დიაოხი მთლიანად გაანადგურეს

16.რა არ აუგია ბაბილონში ნაბუქოდონოსორს?

ა.პირამიდები

ბ.გოდოლი

გ.მარდუქის ტაძარი

დ.დაკიდებული ბაღები

17.რა ტიპის სახელმწიფო ჰქონდათ შუმერებს?

ა.ფედერაცია

ბ.იმპერია

გ.ქალაქ-სახელმწიფო

დ.რესპუბლიკა

18.ძველი აღმოსავლეთის რომელი მმართველი ითვლება უდიდეს კანონმდებლად ?

ა.ხამურაბი

ბ.ნაბუქოდონოსორი

გ.ამენჰოტეპი

დ.კიროსი

19. რომელი ქალაქი წარმოადგენდა შუამდინარეთის მთავარ ცენტრს?

ა) მემფისი ბ) ურუქი გ) ბაბილონი დ) ხათუსა

20. ჩამოთვლილთაგან, რომელი იყო ბაბილონელთა მთავარი ღვთაება?

ა) მარდუქი ბ) ოსირისი გ) იშთარი დ) ატონი

21. რომელი უძველესი ქალაქ-სახელმწიფოს მეფე იყო სარგონი, რომლის სახელსაც უკავშირდება შამდინარეთის გაერთიანება ძვ. წ III ათასწლეულში?

ა) ბაბილონის ბ) ურუქის გ) აქადის დ) ნინევიის

22. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რამ არ შეუწყო ხელი ბაბილონის სამეფოს გაძლიერებას ძვ. წ XVIII საუკუნეში?

ა) ძლიერმა მმართველმა

ბ) ერთიანმა კანონმდებლობამ

გ) ზიქურატების მშენებლობის შეწყვეტამ

დ) ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ

23. მეფე ხამურაბის დროინდელი რომელი უძველესი დოკუმენტია ჩვენამდე მოღწეული?

ა. საგადასახადო დავთრები

ბ. კანონთა კრებული

გ. მეფეთა ქრონიკები

დ. საერთაშორისო ხელშეკრულება

24. რა უკავშირდება ნაბუქოდონოსორის მოღვაწეობას?

ა) ლურსმული დამწერლობის შემოღება;

ბ) მიდიის სამეფოს განადგურება;

გ) ზიკურათების მშენებლობის დაწყება;

დ) ბაბილონის სამეფოს გაძლიერება.

25. რამ განაპირობა საბოლოოდ ბაბილონის სამეფოს დაცემა?

ა) ანატოლიაში დაწყებულმა შინაომმა;

ბ) სემიტური ტომების აჯანყებამ;

გ) ფრიგიელების შემოსევებმა;

დ) აქემენიანთა დაპყრობებმა.

26.სხვა მიზეზებთან ერთად, რამ გამოიწვია ბაბილონის სამეფოს დროებითი დასუსტება ხამურაბის გარდაცვალების შემდეგ?

ა) ბაბილონი მცირე აზიის დასავლეთიდან მოსულმა ტომებმა რამდენჯერმე დაარბიეს;

ბ) ასურეთის სახელმწიფომ მოახერხა ბაბილონის დროებითი დაპყრობა;

გ) ჩრდილოეთიდან ბაბილონში ილაშქრეს კიმერიელებმა და სკვითებმა;

დ) ბუნებრივი კატაკლიზმების გამო მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

27. რომელი მსჯელობაა მართებული ბაბილონის მეფე ხამურაბის შესახებ?

ა) ხამურაბიმ სამხედრო წარმატებების შედეგად ბაბილონი მთელი მესოპოტამიის ბატონად აქცია;

ბ) ხამურაბიმ მოახერხა მთლიანად დაეპყრო ძველი ეგვიპტის სამეფო;

გ) ხამურაბიმ განახორციელა რელიგიური რეფორმა, რომელიც შემდგომში მთელს მცირე აზიაში გავრცელდა;

დ) ხამურაბიმ შექმნა მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება სემირამიდას დაკიდებული ბაღები.

- *ახალი ტიპის სავარჯიშო 1*

ძვ.წ. 722 წელს ასურეთის მეფე სარგონ II-მ დაასრულა მისი წინამორბედების მიერ დაწყებული საქმე და გაანადგურა ჩრდილოეთის სამეფო. დაიწყო ისრაელის ხალხის მასობრივი დეპორტაცია.

1. *დაასახელეთ ერთი კონკრეტული პოლიტიკური მიზეზი, რომელმაც განაპირობა ებრაელთა მასიური დეპორტაცია.*
2. *დაასახელეთ ამ მოვლენის ერთი კონკრეტული პოლიტიკური შედეგი.*
3. *ახსენით, ვისთვის შეიძლება ყოფილიყო დადებითი შედეგის მომტანი ეს მოვლენა მეფე სარგონ II-ისა და დეპორტირებული ებრაელების გარდა. თქვენი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ ერთი არგუმენტით მაინც.*
4. *ახსენით, ვისთვის შეიძლება ყოფილიყო დაპყრობილი ხალხების დეპორტაციის უარყოფითი შედეგის მომტანი, სარგონ II-ისა და დეპორტირებული ებრაელების გარდა. თქვენი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ ერთი არგუმენტით მაინც.*
5. *ძველი სამყაროს ისტორიიდან დაასახელეთ ამ მოვლენის ანალოგიური მოვლენა და დაიმოწმეთ ორი ფაქტი ამ ანალოგიის დასასაბუთებლად.*

- ***ახალი ტიპის სავარჯიშო 2***

ძვ.წ. VII საუკუნის ბოლოსათვის ერთ დროს ძლევამოსილი ასურეთის იმპერია ძლიერ დასუსტდა.

1.დაასახელეთ ასურეთის დაქვეითების ერთი კონკრეტული ეკონომიკური მიზეზი

2. დაასახელეთ ასურეთის დაქვეითების ერთი კონკრეტული პოლიტიკური შედეგი.

3. ახსენით, ვისთვის შეიძლება ყოფილიყო დადებითი შედეგის მომტანი ასურეთის დაქვეითება და რატომ? თქვენი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ ერთი არგუმენტით მაინც.

4. XX საუკუნის მსოფლიო ისტორიიდან დაასახელეთ ამ მოვლენის ანალოგიური მოვლენა და დაიმოწმეთ ორი ფაქტი ამ ანალოგიის დასასაბუთებლად.

- *ისტორიული წყარო*

„ღვთაება ასურის, ჩემი მეუფის, დიადი ძალით, მე,ტიგლათფილესერის სამყაროს ოთხივ მხარეზე სამართლიანად ვმბრძანებლობ, რომელსაც არა ჰყავს მძლეველი ომში და ტოლი ბრძოლაში. შორეულ მეფეთა ქვეყნებისაკენ, რომელნიც ზემო ზღვის ნაპირას ცხოვრობენ და რომელთაც არ იცოდნენ მორჩილება, ღვთაება ასურმა, მეუფემ, გამგზავნა. გავემართე გაუვალი გზებითა და მძიმე გადასასვლელებით, რომელთა წიაღიც არ უხილავს არც ერთ მეფეს; დახშული გზებითა და ჩაკეტილი ბილიკებით გადავლახე მთები – 16 უზარმაზარი მთა. კარგ ადგილას ჩემი ეტლით მივდიოდი, ძნელად გასასვლელებში კი ბრინჯაოს წერაქვებით ვიკვლევდი გზას. მთის ხეები მოვჭერი და ხიდები გავდე ჩემი ჯარების გასავლელად. გადავედი მდინარე ევფრატზე.

ნაირის ქვეყნების მეფეებმა, მათ შორის დაიაენის მეფემაც, შეკრიბეს ეტლები და ჯარები და ბრძოლისა და ომისთვის გამოემართნენ. ჩემი თავზარდამცემი იარაღის სიშმაგით თავს დავატყდი მათ. აღვასრულე მათი მრავალრიცხოვანი ჯარების განადგურება. მათი მეომრების გვამები მიმოვფანტე მთების მწვერვალებსა და მათი ქალაქების მახლობლად. მათი 120 შეჭურვილი ეტლი ბრძოლაში ხელთ ვიგდე. ნაირის ქვეყნების სხვა 60 მეფეს, რომელნიც მათ დასახმარებლად მოვიდნენ, ჩემი შუბით ზემო ზღვამდე მივდიე. მათი დიდი ქალაქები დავიპყარ, მათი ნადავლი, მათი ქონება, მათი სარჩო-საბადებელი წამოვიღე. მათი ქალაქები ცეცხლში დავწვი, დავარბიე, დავანგრიე, ნანგრევთა გორაკებად და ნამსხვრევებად ვაქციე. ცხენების, ჯორების, ჯორ-ცხენების მრავალრიცხოვანი ჯოგები და მათი მინდვრების ურიცხვი პირუტყვი წამოვიყვანე. ნაირის ყველა მეფე ცოცხლად დავატყვევე. ეს მეფეები შევიწყალე. მე მათ სიცოცხლე შევუნარჩუნე. ისინი, დატყვევებულნი და შებოჭილნი,ჩემი ღვთაების, მეუფის, წინაშე გავათავისუფლე და ფიცი მსახურებისა ჩემი დიადი ღვთაებისადმი დავადებინე მომავლის დღეთათვის და სამარადისოდ. მათი ძენი, მათი სამეფო ნაშიერნი, მძევლებად გამოვართვი. 1200 ცხენი, 2000 სული მსხვილფეხა რქოსანი

პირუტყვი ხარკად დავადე და თავიანთ ქვეყნებში გავუშვი. სიენი, მეფე დაიაენის ქვეყნისა, რომელიც არ ემორჩილებოდა ღვთაება ასურს, დატყვევებული და შებოჭილი, ჩემს ქალაქ ასურში წავიყვანე და იქ შევიწყალე იგი. ჩემს ქალაქ ასურიდან დიად ღვთაებათა მორჩილი გავუშვი მე იგი მორჩილებისა და სიცოცხლისათვის, ნაირის ვრცელ ქვეყნებს მთლიანად დავეუფლე და მათი ყველა მეფე ჩემს ფეხთ წინაშე დავამხე.“

- ✓ *კითხვები*

1. *წყაროს მიხედვით, როგორ ხსნის ტიგლათფილესერ I თავისი ლაშქრობის მიზეზს?*

2. *რომელი სახელმწიფოს მეფეა ტიგლათფილესერ I?*

3. *წყაროში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს ამას?*

4. *რომელი საუკუნის დასასრულსა და რომელი საუკუნის დასაწყისში მეფობდა ტიგლათფილესერ I?*

5. *რა არის ამ ლაშქრობის მიზანი?*

6. *რას უწოდებს ტიგლათფილესერი იმ ქვეყნების გაერთიანებას, რომლის წინააღმდეგ გალაშქრებაცაა წყაროში აღწერილი?*

7. *რომელი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება იხსენიება წარწერაში და რა ერქვა მის მეფეს?*

8. *კიდევ რომელი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება იცი?*

9. *ლაშქრობის შემდეგ რა მეთოდს იყენებს მეფე დაპყრობილი ქვეყნების მორჩილებაში ყოფნისთვის?*

10. *ჩამოთვალე რა ნადავლი დარჩა ტიგლათფილესერს და ხარკის სახით რა წამოიღეს დალაშქრული ქვეყნებიდან (დაასახელეთ მინიმუმ ოთხი)?*

11. *ძირითადად მეურნეობის რომელი დარგი იყო დალაშქრულ ქვეყნებში განვითარებული და რა ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ამის შესახებ მსჯელობა?*

12. *რატომ წაიყვანა თან დაიენის მეფე ტიგლათფილესერმა?*

I თავი - 3 საგაკვეთილო თემა:

აქემენიანთა სახელმწიფო (სახელმწიფოს ჩამოყალიბება, მმართველობის სისტემა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რელიგია და კულტურა).

ძვ. წ. VI საუკუნეში წინა აზიაში ჩამოყალიბდა მსოფლიოს უდიდესი სახმელეთო იმპერია, აქემენიანური ირანი. იმპერიის სათავეში იდგა წინა აზიაში მცხოვრები ერთ-ერთი ირანულენოვანი ტომის, სპარსელების მმართველი, აქემენიანთა საგვარეულო. ძვ. წ. VII საუკუნეში სპარსელები ასევე ირანულენოვანი ტომების მიერ შექმნილი სახელმწიფოს _ მიდიის შემადგენლობაში შედიოდნენ და ხარკს იხდიდნენ.

ძვ. წ. 553 წელს მიდიის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო სპარსეთის მეფე კიროს II-მ (ძვ. წ. 558-530). ბრძოლამ სამ წელიწადს გასტანა და სპარსელთა გამარჯვებით დასრულდა. ძვ.წ. 550 წელს კიროსმა აიღო მიდიის დედაქალაქი ეკბატანა და თავი სპარსეთისა და მიდიის მეფედ გამოაცხადა. კიროსმა გააგრძელა დაპყრობები და მომდევნო ორი წლის განმავლობაში დაიკავა პართია და ჰირკანია _ მანამდე მიდიის შემადგენლობაში მყოფი ირანული ოლქები. ძვ. წ. 547-46 წლებში კიროსმა მცირე აზიისკენ ილაშქრა. მას მიემხრო მცირე აზიის ერთ-ერთი სამეფო _ კილიკია და სამხედრო დახმარებაც კი შესთავაზა. ამის გამო კიროსს არას დროს გაუგზავნია კილიკიაში სპარსელი მმართველები, განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ. კილიკიის სპარსელების მხარეზე გადასვლის შემდეგ კიროსი უკვე ლიდიის სამეფოსაც მიუახლოვდა.



იმ დროს ლიდიის სამეფოს მცირე აზიაში გამორჩეული ადგილი ეჭირა. მისი მფარველობის ქვეშ იყვნენ სანაპიროზე მდებარე ბერძნული ქალაქები. კიროსი ლიდიისკენ დაიძრა. გზადაგზა ის თავის არმიას იმ ქვეყნის მეომრებითაც ავსებდა, რომელთა ტერიტორიაზეც გადიოდა. კიროსმა ელჩები მცირე აზიის სანაპიროს ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებშიც გაგზავნა და მოუწოდა, მის მხარეზე გადასულიყვნენ. მაგრამ მცირეაზიელმა ბერძნებმა დაცდა ამჯობინეს. ლიდიის დედაქალაქის _ სარდეს აღების შემდეგ კიროსმა იქ სპარსელი მმართველი დანიშნა და მცირე აზიის ბერძნული ქალაქებისკენ გაემართა.

ბერძნებმა კიროსს ელჩები გაუგზავნეს და მფარველობა სთხოვეს იმ პირობით, რა პირობითაც მანამდე ლიდიის მე ფის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. მაგრამ კიროსმა ელჩებს უპასუხა, მას შემდეგ, რაც ლიდიის ბედი გადაწყდა, ბერძნულ ქალაქებსაც თავად განვუსაზ ღვრავ პირობებსო. ქალაქების ნაწილი სპარსელებს საკუთარი ნება-სურვილით დამორჩილდა, ნაწილი კი ბრძოლის შედეგად დაიპყრეს. კიროსმა ლაშქრობები აღმოსავლე თით გააგრძელა და შუა აზიის ნაწილი დაიპყრო. ძვ. წ. 539 წელს კი ბაბილონიც დაიკავა. ქალაქის მცხოვრებლებს კიროსის არმიისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, რადგან კიროსმა ისინი უსამართლო მეფის ბატონობისაგან იხსნა.

სკვითები
ოლვია
ხერსონესი
პანტიკაპეონი
ბიზანტია
ფრიგია
ათენი
სარდი
გორდასი
სპარტა
მილეტი
ლიდია
ბოსპოროსი
ეგვიპტე
ოებე
ნილოსი
ბაბილონი
ეფესი
ეგეოსი
ბაბილონელები
ბაბილონი
ეფრატი
ტიგროსი
ბაბილონი
ეფრატ

აქემენიანთა სახელმწიფო ვრცელ ტერიტორიაზე გადაიჭიმა და ამის შემდეგ კიროსმა გადაწყვიტა, საზღვრები უკვე სახელმწიფოს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან გაემაგრებინა, რათა შუა აზიიდან მომთაბარე ტომები _ მასაგეტები არ შემოჭრილიყვნენ. ძვ. წ. 530 ამისათვის მან შუა აზიაში ილაშქრა, მაგრამ მდინარე ამუდარიის სანაპიროზე მომთაბარეებთან ბრძოლაში დაიღუპა.

ძვ. წ. 530 წელს ტახტზე ავიდა კიროსის მემკვიდრე კამბიზი. მან ეგვიპტეზე გაილაშქრა. ძვ. წ. 525 წელს ეგვიპტელთა არმია სპარსელებთან ბრძოლაში დამარცხდა და ეგვიპტეც აქემენიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. კამბიზმა ფარაონის ტიტული მიიღო და ეგვიპტის მეფედ ყველა წე სის დაცვით ეკურთხა. კამბიზი მონაწილეობას იღებდა ეგვიპტელთა რელიგიურ დღესასწაულებში, მსხვერპლს სწირავდა ეგვიპტელთა ღმერთებს. დღემდე შემორჩენილ ერთ-ერთ ეგვიპტურ რელიეფზე კამბიზი ეგვიპტულ ტანსაცმელშია გამოწყობილი. კამბიზი მამის პოლიტიკის გამგრძელებელი იყო, ამიტომ ეგვიპტელებს რელიგიურ და პირად ცხოვრებაში თავისუფლება შეუნარჩუნა, სახელმწიფო აპარატშიც ეგვიპტელი მოხელეები მუშაობდნენ. ძვ. წ. 522 წელს სპარსეთში აჯანყება დაიწყო და კამბიზიც სამშობლოსკენ გაეშურა, თუმცა გზაში შეთქმულებმა მოკლეს.

აქემენიანთა ირანის შემდეგი მეფე გახდა დარიოს I (ძვ. წ. 522-486). მეფობის პირველ ორ წელს დარიოსი მთელ იმპერიაზე მოდებული აჯანყებების ჩაქრობას მოუნდა. ხან ერთი და ხან მეორე ოლქის მმართველისა თუ ხალხის წინააღმდეგ ბრძოლისას იგი ეყრდნობოდა, როგორც სამეფო გვარდიას, ასევე სხვადასხვა ოლქში მდგარი ჯარის იმ ნაწილებს, რომლებიც მეფის ერთგულები დარჩნენ. დარიოსი აჯანყების დროს ძალზე გონივრულად იქცეოდა. მას ძალა არ შესწევდა, რომ ერთდროულად ყველა მიმართულებით მიეტანა შეტევა. ამიტომ სწრაფად და თანამიმდევრულად მოქმედებდა, რიგრიგობით აქრობდა აჯანყების კერებს.

სახელმწიფოში წესრიგის დამყარების შემდეგ დარიოსმა რეფორმების გატარება დაიწყო:


<u>*დარიოს I*</u>

- ***მან სახელმწიფო ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებად _ 20 სატრაპიად დაყო.***

როგორც წესი, სატრაპიის საზღვრები ემთხვეოდა ძველი ქვეყნების სახელმწიფო და ეთნოგრაფიულ საზღვრებს (მაგ., ეგვიპტის, მიდიის, ელამის და ა. შ.). სატრაპიის ფარგლებში დაშვებული იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ესა თუ ის ქალაქი თვითმმართველობას, ავტონომიას ინარჩუნებდა (მაგ., ფინიკიური ქალაქები, ბერძნული ქალაქების ნაწილი). ასეთი ქალაქების საშინაო საქმეებში სპარსელები არ ერეოდნენ და ისინიც აქემენიანთა მომხრეებად რჩებოდნენ. სატრაპიის სათავეში მეფის მოხელეები _ სატრაპები იდგნენ. სატრაპის თანამდებობა კიროსისა და კამბიზის დროსაც არსებობდა და ის ადგილობრივი მმართველის ფუნქციას ასრულებდა, რომელიც ერთდროულად ოლქში უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო პირი იყო. ძირითადად სატრაპები ადგილობრივი წარჩინებულებიდან ინიშნებოდნენ. დარიოსის რეფორმის შედეგად კი სატრაპებად ძირითადად სპარსელები ინიშნებოდნენ; მათ ადგილებზე უმაღლესი სამოქალაქო და სასამართლო ხელისუფლება ჰქონდათ, კრებდნენ გადასახადებს, რომლებიც ოქროს, ვერცხ ლის, ხეტყის, სხვადასხვა პროდუქტებისა და საქონლისგან შედგებოდა. სატრაპიის ჯარის მთავარსარდალს მეფე პირადად ნიშნავდა. სატრაპები და მხედარ თმთავრები უშუალოდ დამოკიდებული იყვნენ ცენტრალურ ხელისუფლებაზე.

- ***დარიოსის რეფორმის შედეგად შეიქმნა დიდი ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც სამეფო კანცელარიიდან იმართებოდა. მეფის რეზიდენცია პერსეპოლისში იყო, მაგრამ სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ცენტრს ქალაქი სუზა წარმოადგენდა.***

პერსეპოლისი

სუზის გარდა სხვა დიდ ქალაქებშიც _ ბაბილონში, ეკბატანაში, მემფისსა და სხვა სატრაპიების დედაქა ლაქებშიც არსებობდა კანცელარიები, სადაც სახელმწიფო მოხელეები ისხდნენ. მწერალთა უზარმაზარი შტატი ოფიციალურ დოკუმენტებს იწერდა. ყველა მოხელეს თვალყურს ადევნებდა უმაღლესი მოხელე _ ხაზარაპეტი, რომელსაც იმავდროულად მეფის პირადი გვარდია "ათი ათასი უკვდავიც"ემორჩილებოდა (გვარდია ამგვარად იმიტომ იწოდებოდა, რომ მათი რაოდენობა მუდამ უცვლელი იყო. რომელიმე მეომრის დაღუპვის შემთხვევაში, მის ადგილზე სწრაფად აყენებდნენ სხვა გამოცდილ მეომარს).

- *დარიოსმა ეკონომიკური რეფორმებიც გაატარა.*

მან იმპერიაში ფულის საერთო ერთეული შემოიღო. ეს იყო ოქროს "დარიკი",ასევე იჭრებოდა ვერცხლის "სიკლი" . "დარიკის" მოჭრა მხოლოდ მეფეს შეეძლო, სიკლს კი სატრაპიებში (ძირითადად მცირე აზიაში) ჭრიდნენ.

- *ვაჭრობის და კომუნიკაციის განსავითარებლად დარიოსმა მოაწესრიგა გზები, შექმნა მუდმივი საფოსტო სადგურები, რომლებიც ინფორმაციის სწრაფი გავრცელების საშუალებას იძლეოდა და იმპერიის თვით ყველაზე შორეული პროვინციებიც კი აღარ რჩებოდა იზოლაციაში.*
- *კიროს II ის მმართველობის დროიდან დაწყებული აქამენიანთა სახელმწიფოს კანცელარიაში იყენებდნენ არამეულ ენას, რომელზეც სემიტები საუბრობდნენ. დარიოს I განხორციელებული რეფორმით არამეული ენა სამეფოს ოფიციალურ ენად იქცა.*

ახალმა სამონეტო და ადმინის ტრაციულმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო საგადასახადო სისტემის მოწესრიგებას. მკაცრად იყო დადგენილი სატრაპიებში მოსახლეობის შემადგენლობა (თუ რომელი ხალხი იყო ამა

თუ იმ სატრაპიაში გაერთიანებული) და გადასახადები. თავად სპარსელები გადასახადებისგან გათავისუფლებული იყვნენ. ისინი სახელმწიფო აპარატში, მეფის "უკვდავთა გვარდიასა" და არმიაში მსახურობდნენ. სპარსული არისტოკრატიის წარმომად გენლები მსხვილი მიწათმფლობელებიც იყვნენ და საკუთარი მიწებიდან შემოსული შემოსავლებით ცხოვრობდნენ.

იმპერიის შემადგენლობაში ქართული ტომების ნაწილიც მოექცა. თანამედროვე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მცხოვრები სასპერები, მოსხები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, მარები სპარსეთის XVIII და XIX ს სატრაპიებში შედიოდნენ თუმცა ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას და მხოლოდ ხარკს იხდიდნენ.

აქემენიანი მეფეები, ისევე რო გორც ძველი სამყაროს სხვა მონარქები, ხშირად საკუთარ წარწერებს სასახლეთა კედლებზე, ქვის დიდ ფილებზე, კლდეზე აკვეთინებდნენ, რათა მათი წაკითხვა ყველას შესძლებოდა. დღემდე შემორჩენილია ქალაქ სუზის დარიოსის წარწერა, რომელიც აქ სასახლის აგების შესახებ მოგვითხრობს .

დარიოს I-ის გარდაცვალების შემდეგ სახელმწიფოს სათავეში მისი მემკვიდრე ქსერქსე I (ძვ. წ. 486-465 წ.) ჩაუდგა. საგარეო პოლიტიკაში მან აქემენიანთა ტრადიციული კურსი გააგრძელა. დარიოსის დროს დაიწყო და შემდეგ ქსერქსეს მეფობისას გაგრძელდა ირანელებისა და ბერძნების დაპირისპირება, რომელიც ისტორიაში ბერძნულ-სპარსული ომების სახელითაა ცნობილი.

ქსერქსემ სახელმწიფოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი _ რელიგიური რეფორმა ჩაატარა და ირანელთა საერთო რელიგიად ზოროასტრიზმი გამოაცხადა. მან აკრძალა იმპერიაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხების ადგილობრივი ღვთაებები და კულტები და აჭურამაზდას სავალდებულო თაყვანისცემა დააწესა.

კონსპექტი

✓ აქამენიანთა ირანი (სპარსეთი) სახმელეთო იმპერია(ძვ .წ VI -IV სს)

- **აქამენმა ერთ ქვეშ მოაქცია სპარსული ტომები.**
- **კიროს II დიდმა(ძვ.წ 558-530) შექმნა სპარსული იმპერია.**
- **მან ძვ.წ 590 დაამარცხა მიდიელები , ძვ.წ 539 წელს ბაბილონი დაიპყრო . მან სამშობლოში დააბრუნა ებრაელები , იხსნა ბაბილონური ტყვეობიდან.**
- **კიროსი გარდაიცვალა მასაგეტებტან ბრძოლაში ძვ.წ 530 წელს , მისმა ვაჟმა კამბიზეს II - ემ დაიპყრო ეგვიპტე ძვ.წ 525 წელს .**
- **დარიოს I - მა გაატარა ადმინისტრაციული რეფორმები:**
- **ქვეყანა დაჰყო ადმინისტრაციულ-საგადასახადო ოლქებად სატრაპიებად , სულ 20 , მართავდა მას სატრაპი , აუცილებლად სპარსელი.**
- **ქვეყანა ასევე დაჰყო სამხედრო ერთეულებად ტოპარქიებად, მას მმართავდა მხედართმთავარი.**
- **დაარსა ქალაქი პერსეპოლისი, ოფიციალურ ენად აქცია არამეული.შემოიღო ფული დარიკი და სინკლი**
- **დარიოსმა შექმნა 10 ათასი უკვდავთა არმია რომელსაც ხაზარაპეტი.**
- **ქსერქსემ დატოვა ერთადერთ რელიგიად ზოროასტრიზმი.**
- **სპარსელები მეფეები დარიოსი და ქსერქსე პირველობისთვის ეომებოდნენ ათენსა და სპარტას ბერძნულ პოლისებს :**

მარათონის ბრძოლა _ ძვ.წ 590

სალამინის ბრძოლა_ ძვ.წ 580

პლატეასთან ბრძოლა _ ძვ.წ 579

მიკალის კონცხთან ბრძოლა (საზღვაო) _ ძვ.წ 579 წელს ბერძნებმაა დაამარცხეს სპარსელები

- **მათ შორის საბოლოოდ დაიდო ძვ. წ 449 წელს კალიასის ზავი .**
- **აქამენიანთა სამეფო გაანადგურა ალექსანდრე მაკედონელმა ძვ.წ 334 წელს.**

1-ლი თავის მე- 3 საგაკვეთილო თემის სავარჯიშოები

- ***ტესტები***

1.რომელ არაებრაელ მმართველს უკავშირდება იერუსალიმის ტაძრის საკუთარი სახსრებით აღდგენა?

ა) კიროს II

ბ) ალექსანდრე მაკედონელს

გ) დარიოს I

დ) კამბიზ II

2. აქემენიანთა სპარსეთის რომელმა მეფემ დაიპყრო ბაბილონი ძვ. წ. VI ს-ში?

ა) კიროსმა ბ) კამბიზმა გ) დარიოს I- მა დ) ქსერქსემ

3.აქემენიდური სპარსეთის რომელი მეფის მმართველობის დროს იქნა დაქვემდებარებული ეგვიპტე?

ა) კიროს II ბ) კამბიზი გ) დარიოს I დ) ქსერქსე

4. რა გზით მოვიდა სახელმწიფოს სათავეში კიროს II დიდი?

ა) მიდიის მეფის დამარცხებით და ქალაქ ეკბატანას აღებით
ბ) ბაბილონელთა ჯარის ძლევით და ქალაქ ბაბილონში შესვლით
გ) აქემენიანთა ირანმა, მიუხედავად ხანგრძლივი ბრძოლისა, ვერ დაიმორჩილა კოლხები და ისინი რომის გავლენის სფეროში დარჩნენ
დ) კოლხებმა და აქემენიანთა ირანმა დადეს სამოკავშირეო ხელშეკრულება პონტოს სამეფოს წინააღმდეგ.

5. ჩამოთვლილთაგან, რომელი მოვლენა არ მომხდარა სპარსეთის მეფე დარიოს I ის დროს?

ა) ქვეყნის დაყოფა ადმინისტრაციულ ერთეულებად სატრაპიებად
ბ) რელიგიური ავტონომიის შემოღება იმპერიაში მცხოვრები ერებისათვის
გ) ომების წამოწყება ბერძნების წინააღმდეგ
დ) ქვეყანაში ფულის საერთო ერთეულის შემოღება

6. აქემენიანთა ირანში სატრაპი იყო?

ა) მხედართმთავარი
ბ) უუფლებო მონა
გ) პროვინციის მმართველი

დ) მსუბუქად აღჭურვილი ქვეითი

7. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი რეფორმა არ გაუტარებია დარიოს I-ს?

ა) მოჭრა ოქროს ფული „დარიკი“
ბ) შექმნა ათი ათას კაციანი „უკვდავთა“ გვარდია
გ) მოსახლეობის დაყოფა ქონებრივი ცენზის მიხედვით
დ) ქვეყნის დაყოფა ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად

8.რა ევალებოდათ აქემენიანთა იმპერიაში სატრაპებს?

ა) მეზობელ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების წარმოება
ბ) აქემენიანთა არმიის საბრძოლო რესურსებით მომარაგება
გ) ზოროასტრული რწმენის გავრცელება და განმტკიცება მოსახლეობაში
დ) იმპერიის ადმინისტრაციული ოლქების წინამძღოლობა

9.რომელი მსჯელობაა მართებული აქემენიანთა ირანისა და კოლხების ურთიერთობის შესახებ?

ა) აქემენიანთა ირანმა მთლიანად დაიპყრო კოლხების ქვეყანა და ის უშუალოდ ცენტრალურ ხელისუფლებას დაუმორჩილა
ბ) კოლხების ნაწილი აქემენიანთა ირანს ძღვენს უგზავნიდა და ამით ფაქტობრივად დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა
გ) აქემენიანთა ირანმა, მიუხედავად ხანგრძლივი ბრძოლისა, ვერ დაიმორჩილა კოლხები და ისინი რომის გავლენის სფეროში დარჩნენ
დ) კოლხებმა და აქემენიანთა ირანმა დადეს სამოკავშირეო ხელშეკრულება პონტოს სამეფოს წინააღმდეგ

10. რომელი ენა ითვლებოდა აქემენიანთა იმპერიაში საერთაშორისო ენად, რომელსაც ამავე დროს იყენებდნენ სახელმწიფო კანცელარიებში?

ა) ფინიკიური ბ) შუმერული გ) არამეული დ) აქადური

11.რას გულისხმობდა დარიოს I- ის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული რეფორმა?

ა) საპიტიახშოების დაარსებას
ბ) სამარზპანოების წარმოქნას

გ) სატრაპიების ჩამოყალიბებას
დ) პოლისების სისტემის რეფორმირებას

12.ვინ დაყო სპარსეთის სამეფო სატრაპიებად?

ა) კიროსმა ბ) დარიოსმა გ) ქსერქსე დ) კამბიზმა

13. რა დამსახურების გამო მოიხსენიეს კიროს დიდი ბიბლიაში?

ა) ბაბილონის განადგურების გამო

ბ) ებრაელთა მიმართ შემწყნარებლური პოლიტიკის გამო

გ) დაბალი გადასახადების გამო

დ) კოლოსალური რაოდენობის სალოცავების აშენების გამო

14.კიროს II- ის მმართველობისთვის დამახასიათებელი იყო:

ა) მაღალი გადასახადების დაწესება დაპყრობილი ხალხებისთვის
ბ) დამორჩილებული მოსახლეობის ნაწილის გადასახლება სპარსეთის ტერიტორიაზე
გ) მომთაბარე ტომებით ჯარის დაკომპლექტება
დ) ლმობიერი რელიგიური პოლიტიკა

15.რა საერთო ჰქონდათ ძველ ეგვიპტესა და აქემენიანთა ირანს?

ა) ორივე სახელმწიფოში გავრცელებული სარწყავი არხები
ბ) ორივე სახელმწიფოს ჰყავდა ძლიერი საზღვაო ფლოტი
გ) ორივე სახელმწიფო იბრძოდა მომთაბარე ტომების წინააღმდეგ
დ) ორივე სახელმწიფოში გარკვეული პერიოდი არსებობდა მონოთეისტური რელიგია

16.ვისთან ბრძოლაში დაიღუპა კიროს II?

ა) ბერძნებთან
ბ) ასურეთებთან
გ) ჰუნებთან
დ) მასაგეტებთან

17.მოსხები, სასპერები, ტიბარენები, მოსინიკები იყვნენ:

ა) მომთაბარე მეომარი ტომები
ბ) ქართული წარმოშობის ტომები
გ) ბერძენი მოახალშენეების მოკავშირეები
დ) ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები ტომები

18.კამბიზ II მამის პოლიტიკას აგრძელებს. რომელი ისტორიული ფაქტი შეგვიძლია გავიხსენოთ ამ მოსაზრების დასადასტურებლად?

ა) კამბიზმა დაიპყრო ეგვიპტის სამეფო, მოსახლეობა დაიქვემდებარა და მმართველობა აქ სპარს მოხელეებს ჩააბარა
ბ) კამბიზმა მიიღო ფარაონის ტიტული და მეფედ ყველა წესის დაცვით ეკურთხა, ასევე ის მონაწილეობას იღებდა ეგვიპტელების რელიგიურ დღესასწაულებში, მსხვერპლს სწირავდა ეგვიპტის ღმერთებს
გ) კამბიზმა ეგვიპტეში შემოიღო ახალი გადასახადი, რომლის დახმარებით ეგვიპტელებმა აღადგინეს სფინქსის ქანდაკება ხეოფსის პირამიდასთან
დ) კამბიზი ათავისუფლებს ეგვიპტელებს ყოველგვარი გადასახადისაგან და ასევე ხელუხლებელს ტოვებს ადგილობრივ მმართველობას

19.ვინ იყვნენ გაერთიანებულები სპარსეთის მე-18 და მე-19 სატრაპიებში?

ა) სკვითები ბ) იბერები გ) კოლხები დ) ფინიკიელები

20. რატომ არ თვლიდნენ კიროსის მმართველობას ბაბილონში „ უცხოელთა ბატონობად“?

ა) კიროს დიდიდ დედა იყო ბაბილონის მეფის ქალიშვილი, ამიტომ მას არ აღიარებდნენ, როგორც დამპყრობელს
ბ) კიროს დიდმა, ბაბილონის მოსახლეობის მოსაზრებით, მეფობა „მარდუქის“ხელიდან მიიღო და ტაძარშიც ყველა რიტუალი შეასრულა, რის გამოც მას უბოძეს ტიტული „ ბაბილონის და ქვეყნის მეფე“
გ) კიროს დიდი განსაკუთრებით ზრუნავდა ბაბილონის სამეფოს გაძლიერებაზე, აქ მან მრავალი ციხე-ქალაქი ააშენა
დ) აქემენიანთა ირანი და ბაბილონი სამეფო წლების განმავლობაში ერთად იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ

21.რომელი სამეფოს შემადგენლობაში შედიოდნენ სპარსელები ძვ.წ. VII ს-ში?

ა) მითანის სამეფოში
ბ) მიდიის სამეფოში
გ) ასურეთის სამეფოში
დ) ბაბილონის სამეფოში

22.რა შედეგი მოუტანა ფინიკიურ ქალაქ-სახელმწიფოებს აქემენიანური იმპერიის გავლენის ქვეშ გაერთიანებამ?

ა) ფინიკიელებმა მიიღეს თვითმმართველობის უფლება
ბ) სპარსელები ფინიკიელებს არ ახდევინებდნენ გადასახადებს

გ) სპარსელები უარს ამბობდნენ ფინიკიელების გემების გამოყენებაზე
დ) სპარსელებმა შექმნეს ერთიანი ფინიკიური სახელმწიფო

23.რა გამოიწვია აქემენიანთა სახელმწიფოს მიერ ეგეოსის ზღვისპირეთის დაპყრობამ?

ა) პუნიკური ომების გაგრძელება
ბ) ფინიკიური კოლონიზაციის დასაწყისი
გ) მიდიის სამეფოს ჩამოყალიბება
დ) ბერძნებთან ომების წამოწყება

24.რას ეწოდებოდა „ 10 000 უკვდავი მეომარი“ აქემენიანთა ირანში?

ა) სასახლის დაცვას
ბ) პროვინციებში განლაგებული ჯარების ელიტურ ნაწილებს
გ) მეფის პირად დაცვას
დ) აქემენიანთა ირანის მთლიან დაცვას

25.რა შედიოდა ხაზარაპეტის ფუნქციებში?

ა) ელიტარულ „ უკვდავთა“ სამხედრო შენაერთის სარდლობა
ბ) გადასახადების აკრეფა აქემენიანთა იმპერიაში
გ) საიდუმლო პოლიციის ხელმძღვანელობა
დ) მომთაბარე ტომებისაგან აქემენიანთა იმპერიის საზღვრების დაცვა

26.რომელი შაჰია მოხსენიებული ბიბლიაში ებრაელთა მიმართ გატარებული ტოლერანტული პოლიტიკის გამო?

ა) ქსერქსე ბ) კამბიზი გ) დარიოს I დ) კიროს დიდი

27.რომელ წელს დაიპყრო კიროს დიდმა ბაბილონი?

ა) ძვ.წ. 522 წელს
ბ) ძვ.წ. 539 წელს
გ) ძვ.წ. 550 წელს
დ) ძვ.წ. 558 წელს

28.რომელ აქემენმა შაჰებმა წამოიწყეს ბერძენ-სპარსელთა ომები?

ა) აქემენმა და კიროს II დიდმა
ბ) დარიოს I -მა და ქსერქსებ
გ) კიროს II დიდმა და კამბიზ II - მ
დ) ქსერქსემ და დარიოს III - მ

29.რომელმა სახელმწიფომ გაანადგურა აქემენიანთა ირანი?

ა) რომის იმპერიამ
ბ) მიდიის სამეფომ
გ) მაკედონიის სამეფომ
დ) ასურეთის იმპერიამ

30.აქემენიანთა ირანის რომელმა შაჰმა დაამარცხა და შემოიერთა მიდია?

ა) ქსერქსემ ბ) დარიოს I- მა გ) კამბიზ II დ) კიროს II

• ახალი ტიპის დავალება

ძვ.წ. 553 წელს კიროსმა გააერთიანა სპარსული ტომები და დაიწყო აჯანყება მისი მბძანებელის, მიდიის მეფე ასტიაგეს წინააღმდეგ.

(1ქ.) 1. დაასახელეთ ერთი კონკრეტული პოლტიკური მიზეზი, რომელმაც განაპირობა ეს დაპირისპირება.

(1ქ.) 2. დაასახელეთ ამ დაპირისპირების ერთი კონკრეტული პოლტიკური შედეგი.

(1ქ.) 3. ახსენით, ვისთვის შეიძლება ყოფილიყო დადებითი შედეგის მომტანი ეს დაპირისპირება, კიროსისა და ასტიაგეს გარდა. თქვენი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ ერთი არგუმენტით მაინც.

(2ქ.) 5. ძველი სამყაროს ისტორიიდან დაასახელეთ ამ დაპირისპირების ანალოგიური მოვლენა და დაიმოწმეთ ორი ფაქტი ამ ანალოგიის დასასაბუთებლად.

• *ისტორიული წყარო*

ნაწყვეტი „ახალი ქართლის ცხოვრებიდან“

ფარნავაზის შემდგომ დაჯდა მეფედ მისი ძე სურმაგი. მაგრამ მისი მეფობა არ მოსწონდათ ქართველებს. რომ არ დამორჩილებოდნენ თავიანთ მონათესავეს, ამიტომაც შეთანხმდნენ სურმაგის მოსაკლავად. შეიტყო ეს სურმაგმა და გაიქცა ძურძუკეთში, თავის დედულეთში. ხოლო რომაელები ფარნავაზის საკეთილდღეოდ მიჰყვებოდნენ სურმაგს. შემოიკრიბა სურმაგმა ძურძუკები და ოსები, ჩამოვიდა და კვლავ დაიკავა საქართველო. ამის გამო დაამდაბლა ქართველები და აღაზევა თავისი დედის მონათესავნი და რომაელი აზნაურები. ძურძუკეთი ვერ იტევდა მოსახლეობას, სურმაგმა აჰყარა ისინი კავკასიიდან და ჩაასახლა დიდოეთსა და სვანეთში ეგრისამდე. და დაიპყრო ეს ადგილები დასანდობად. მან მცხეთის გზაზე აღმართა კერპები – ანიანი და დანიანი. სურმაგს არ ჰყავდა მემკვიდრე, ამიტომაც მოიყვანა ცოლის დეიდაშვილის შვილი, სახელად მირვანი, თავისი სამეფოს მემკვიდრედ და მისცა გაჩიანი და საერისთავოდ – სამშვილდე; ხოლო თავისი ასული ცოლად შერთო; მეორე ასული კი მისცა ქუჯის ძეს. შემდგომ დაჯდა მის

ნაცვლად მირვანი, მისი სიძე და შვილობილი. მცირე დროის შემდგომ ძურძუკებმა დაივიწყეს ფარნაოზის სიყვარული, გადმოვიდნენ და აიკლეს კახეთი და ბაზალეთი და გაბრუნდნენ ნადავლით. მაშინ შეკრიბა მირვანმა ლაშქარი, მივიდა და დაესხა ძურძუკეთს, რადგანაც იყო გმირი და გოლიათი, რომელსაც ვერ კვეთდა ძურძუკთა მახვილი, როგორც მყარ კლდეს; მან სძლია, ამოწყვიტა და დაატყვევა ძურძუკები და გამარჯვებული დაბრუნდა მცხეთაში. შემდგომ მოეთათბირა სომეხთა მეფე არშაკს და მის ვაჟს, ასევე არშაკს მისცა თავისი ასული. ხოლო იყო მირვანი ნებროთის შთამომავალი, უხვი და კეთილი; და ქართველებმაც შეიყვარეს იგი მისი სიკეთისათვის და სიკეთითვე მეფობდა. მის შემდეგ გამეფდა ძე მისი ფარნაჯომი. მან შეიყვარა სპარსთა რჯული და შეიძულა ქართველთა კერპები. აააგო მცხეთაში საცეცხლე. ამის გამო შეიძულეს იგი ქართველებმა, რადგანაც საკუთარი კერპების დიდი იმედი ჰქონდათ და მოეთათბირნენ ქართველები სომეხთა მეფეს, რომ გამოეგზავნა თავისი ძე, რომელსაც ცოლად მირვანის ასული ჰყავდა. სომეხთა მეფემ გამოაგზავნა თავისი ძე და ლაშქარი. ამის გამგონე ფარნაჯომმა შეიერთა სპარსთა ძალა და შეებრძოლნენ ერთმანეთს ტაშირში. მაშინ დამარცხდა ფარნაჯომი და მახვილით ამოწყდა მისი ლაშქარი; თვით ფარნაჯომ მეფეც მოკლეს.

- ✓ ***კითხვები:***

1.რა ეწოდება ქართულ სახელმწიფოს, რომელზედაც არის საუბარი წყაროს ტექსტში?

2. წყაროს მიხედვით, რატომ გადაწყვიტეს ქართველებმა თავიანთი მეფის, საურმაგის მოკვლა?

3. წარმოშობით საიდან იყო მეფე საურმაგის დედა?

4. თქვენი აზრით, ვინ არიან წყაროს ტექსტში ნახსენები „რომაელები“?

5. წყაროს ტექსტიდან გამომდინარე, რა მიზეზით ედგნენ გვერდში რომაელები მეფე საურმაგს?

6. წყაროს მიხედვით, რა იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც საურმაგმა ძურძუკები ჩამოასახლა საქართველოში?

7. წყაროში მოცემული რომელი ინფორმაცია ადასტურებს იმას, რომ საურმაგის მიერ თავის მემკვიდრედ შერჩეული მირვანი არ იყო წარმოშობით ქართველი?

8. დაასახელეთ ღონისძიებები, რომლებიც განახორციელა საურმაგმა საკუთარი ძალაუფლების გასაძლიერებლად ლტოლვილობიდან დაბრუნების შემდეგ?

9. წყაროს მიხედვით, ვისი მმართველობის დროს გადაუდგნენ ძურძუკები ქართველებს და რაში გამოიხატა მათი დამოკიდებულების შეცვლა?

10. თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურებოდა მეფე მირვანის მცდელობა, დაახლოებოდა სუმეხთა მეფე არშაკს და რა ნაბიჯი გადადგა მან ამ მიზნის მისაღწევად?

11. რომელი მეფის მმართველობის დროს მოხდა ქართლის საგარეო ორიენტაციის ცვლილება და წყაროში მოცემული რომელი ინფორმაცია ადასტურებს ამას?

12. წყაროს მიხედვით, რომელი სახელმწიფოები იყვნენ ჩართული მეფე ფარნაჯომის წინააღმდეგ მიმართული აჯანყების დროს მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში და რა შედეგით დასრულდა ეს დაპირისპირება?

I თავი- 4 საგაკვეთილო თემა:

ძველი საბერძნეთი (ბერძნული კოლონიზაციის მიზეზები და შედეგები. ათენი: მმართველობის სისტემა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ბერძენ-სპარსელთა ომები. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობები. ელინისტური სახელმწიფოები).

- ✓ *ბერძნული სამყარო მეტროპოლია და კოლონია. პოლისი და სახელმწიფოს მმართველობის ფორმები.*

ბერძნულ სამყაროში, რომელიც ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და ეგეოსის ზღვის კუნძულებს მოიცავდა, ძვ. წ. VIII-VII სს.-ში ჩამოყალიბდაქალაქ-სახელმწიფოს თავისებური ტიპი, რომელსაც „პოლისს " უწოდებენ.თავდაპირველად „პოლისი" გეოგრაფიულ ტერიტორიას აღნიშნავდა. მხოლოდ მოგვიანებით გახდა ის ქალაქ-სახელმწიფო სინონიმი.

ყოველ პოლისს ჰქონდა საკუთარი მმართველობა, ჰყავჯარი, ჰქონდა ხაზინა, ჭრიდა საკუთარ მონეტას.პოლისი ქალაქს იმით წააგავს ,რომ მას აქვს აკროპოლისი -გამაგრებული ბორცვი თემის მფარველი ღვთაების სამლოცველოთი და მის წევრთა თავშერის ადგილითითოეულ პოლისში ადგილობრივი, სხვა პოლისებისგან განსხვავებული, კანონები მოქმედებდა. პოლიტიკური ორგანიზების ეს ფორმა ბერძნებს მთელი ანტიკური ხანის განმავლობაში ჰქონდათ. მათთავიანთი კულტურის აყვავების ხანაში ერთიანი სახელმწიფო არშეუქმნიათ.



პოლისების სიმრავლის მიუხედავად, ბერძნები თავსერთიანი ბერძნული სამყაროს წევრებად მიიჩნევდნენ, რადგან ჰქონდათ ერთი ენა, თაყვანს სცემდნენ ერთსა და იმავე ღმერთებს და საერთო ბერძნულ რელიგიურ დღესასწაულებზე იკრიბებოდნენ.



ბერძნული ცივილიზაციის ხასიათი სწორედ პოლისების პოლიტიკურმა მრავალფეროვნებამ განსაზღვრა. ბერძნები პოლისებში მმართველობის რამდენიმე პოლიტიკურ სისტემას განასხვავებდნენ:

- ✓ *მონარქია*

მონარქია უძველესი, „პირველი და ღვთიური წარმომავლობის" ფორმაა. არსებობს პატრიარქალური და აბსოლუტური მონარქია. აბსოლუტური მონარქიის დროს ხელისუფალისთვის არ არსებობს კანონი. იგითითქოს ღმერთია ადამიანებს შორის, მისთვის არ არსებობს კანონი,რადგან თავად არის კანონი.

- ✓ *არისტოკრატია*

არისტოკრატიის დროს ძალაუფლება ღირსეული უმცირესობისხელშია და ეს წყობილება შესაძლებელია იმ საზოგადოებაში,რომელშიც პირადი ღირსება ფასდება. ღირსების გრძნობა კეთილშობილთა თვისებაა, ასე რომ არისტოკრატიის დროს კეთილშობილები მართავენ.

- ✓ *პოლიტეა (რესპუბლიკა)*

პოლიტეა – უმრავლესობის ძალაუფლებაა. რესპუბლიკური საზოგადოება იმ ადამიანებისგან შედგება, რომლებიცბუნებით მეომარნი არიან, მაგრამ ძალუძთ, ქვეყანა კანონისსაფუძველზე მართონ. ამ კანონის თანახმად, უმაღლესი თანამდებობები ღარიბებსაც ერგებათ, თუ ისინი ღირსეულნი არიან.

- ✓ *ტირანია*

ტირანული ხელისუფლება ვერ თანხმდება ადამიანურ ბუნებასთან.მღელვარების პერიოდში პოლისში ერთპიროვნული ხელისუფლებაერთ-ერთ თავკაცს გადაეცემოდა . მას შეუზღუდავი უფლებები ჰქონდა ,ბევრად მეტი ვიდრე დინასტიურ მონარქს ან წარჩინებულთა ჯგუფს.მმართველობის ეს ფორმა მრავალმა პოლისმა გამოიცვალა ,მაგრამ მისმიმართ უკმაყოფილოდ არიან განწყობილი , რადგან ამ დროსხელისუფლების ბედი ერთი ადამიანის ხელშია და ყველაფერი მისნებასა და სურვილზეა დამოკიდებული.

- ✓ ***ოლიგარქია***

ოლიგარქია, ისევე როგორც არისტოკრატია, უმცირესობისძალაუფლებაა, ოღონდ არა ღირსეულთა, არამედ მდიდართა.

- ✓ ***დემოკრატია***

დემოკრატია კანონზეა დაფუძნებული. ის „ყველაზე ასატანი ფორმაა პოლიტიკური მოწყობის უარეს ფორმებს შორის“. იგი თავისუფალი და ღარიბი (უღირსი) უმრავლესობის ძალაუფლება პოლიტიკურ სისტემას მოიხსენიებენ მაშინ როცა ხალხი (დემოსი) ყოველდღიურად იკრიბებოდნენ მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად , პირადად ირჩევდნენ ყველა რანგის მოხელეს . დემოკრატიის ნიმუშია ათენი.პოლისის ზომა და მოსახლეობა იძლეოდა დემოკრატიულიმმართველობის შესაძლებლობას.

✓ *ათენი*

პოლისებს შორის განსაკუთრებული ადგილი ათენს ეკავა,რომელიც ატიკის ოლქში მდებარეობდა.შუა საბერძნეთში მდებარე ატიკის ოლქი ძველთაგანვე საბერძნეთის ცენტრს წარმოადგენდა. ატიკის მთავარმა ქალაქმა,ათენმა, თანდათან მთელ ატიკაზე მოიპოვა გავლენა. პირველად სწორედ ათენში შემოიღეს „მოქალაქის“ ცნება და ჩაისახამმართველობის ფორმა დემოკრატიაც, თუმცა თავიდან ათენში ძალაუფლებას არისტოკრატია ფლობდა.

არსებობს გადმოცემა, რომელიც ათენის პოლიტიკურ ცენტრად გადაქცევის ამბავს მოგვითხრობს და მას მითურ თესევსს უკავშირებს (ანტიკურ საბერძნეთში თესევსი ისტორიულ პირადმიაჩნდათ) .„თესევსმა ატიკის მთელ მოსახლეობას ერთ ქალაქში მოუყარა თავი და ჩამოაყალიბა პოლისი ერთი ხალხით, რომელიც გაფანტულად ცხოვრობდა და ძნელი იყო მათი თავმოყრა საერთო საქმისთვის.

ათენი მცირემიწიანი იყო, რის გამოც ათენელთა უმრავლესობა საკუთარი თავისა და ოჯახების გამოკვებას ვერ ახერხებდა. ისინი ხშირად ვალს იღებდნენ მდიდარი მოქალაქეებისგან, შემდეგ უმრავლესობა ვალს ვეღარ იხდიდა და სავალო მონობაში ვარდებოდა. რიგითი მოქალაქეები უკმაყოფილო იყვნენ იმითაც, რო მმართველობა, ძირითადად, წარჩინებული გვარების წარმომადგენლების ხელში იყო. ათენს სათავეში ბასილევსი, ანუ მეფე,ედგა.

აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენდა არქონტთა 9-კაციანი კოლეგია, რომელსაც არეოპაგი, ანუ არისტოკრატთა საბჭო, ირჩევდა. დაახლოებით, ძვ. წ. 621 წელს დრაკონის არქონტობის დროს (პირველი

არქონტი) პირველად ჩაიწერეს საკანონმდებლო ადათ-წესები. ისინი გაბატონებული სოციალური ფენის ინტერესებს იცავდა. ეს კანონები იმდენად სასტიკი იყო, მკაცრი კანონმდებლობის აღსანიშნავად გამოთქმაც კი გაჩნდა დრაკონული კანონები.

მაგ., სხვისმოსავლის ქურდობა ისევე ისჯებოდა სიკვდილით, როგორც წინასწარგანზრახული მკვლელობა. ზოგადად, სასჯელის ყველაზე გავრცელებული ფორმა სიკვდილით დასჯა იყო. დემოსის უკმაყოფილება კიდევ უფრო გაიზარდა, საზოგადოებას ცვლილებები სჭირდებოდა. დემოსის ზეწოლით არისტოკრატია დათმობებზე წავიდა. ძვ. წ. 594 წელს არეოპაგმა გაღატაკებული წარჩინებული – სოლონი პირველ არქონტად აირჩია და რეფორმების მომზადება დაავალა. სოლონმა ათენისათვის ახალი კანონების შედგენა დაიწყო.

მათი მთავარი პრობლემა სავალო კაბელა იყო , ამ პერიოდის ათენის მოსახლეობა ვალების გადაუხდელობის გამო ნაწილი საკუთარ მიწაზე მეიჯარეებათ მუშაობდნენ, ნაწილი კი მონებად იყო გაყიდული. სოლონმა გაუქმა ვალების გამო თავისუფალი ადამიანების მონებად გაყიდვა, აქტიურად ჩართო ათენი ვაჭრობაში , გაატარა მმართელობითი რეფორმა, გაზარდა სახალხო კრების (ეკლესიის)მნიშვნელობა, შეიქმნა არჩევითი ორგანო ოთხასის საბჭო (ბულე) . მოქალაქეები ქონებრივი ცენზის ნიშნით (არა წარმომავლობის)ოთხად დაჰყო, რაც განაგებდა მათ ადგილს თანამდებობეზე და

ჯარში .

სოლონის რეფორმებმა ათენი სახელმწიფოდ აქცია, მეორემხრივ უცხოეთიდან მონების ვაჭრობას შუწყო ხელი.სოლონმარეფორმები მისი არქონატად ყოფნის დროს გაატარა(1 წელი იყოარქონატი).

ძვ.წ 509 წელს კლისთენეს გატარებულმა რეფორმებმა დაამკვიდრა

ათენში საბოლოოდ დემოკრატია.

სოლონი_ კლისთენე _ პერიკლე



✓*სოლონის რეფორმები*

1.გაუქმა ვალები

2.აღადგინა ათენელთა შელახული უფლებები

3. ათენელები ვაჭრობაში ჩართო

4. გაიზარდა სახალხო კრების მნიშვნელობა

5.შეიქმნა არჩვითი ორგანო ოთხასთა საბჭო ბულე.

6. ქონებრივი წესით დაჰყო მოსახლეობა ოთხად

7. ათენი იქცა სახელმწიფოდ მოქალაქეთა თავისუფლება

✓*კლისთენეს რეფორმები*

1.ძვ.წ 509 წელს საბოლოოდ დაამკვიდრა დემოკრატია

2. ისონომია- მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები შემოიღო

3. ტერიტორიულ -ადმინისტრაციული დაყოფა

4. თარქოტთა კოლონიები შექმნა

5. ოთხასთა საბჭო შეცვალა ხუთასით

6. შემოიღო ოსტრაკიზმო ნატეხთა სასამართლო

✓*პერიკლეს რეფორმები*

1.კიდევ უფრო გაფართოვა სახალხო კრების უფლებები(რომელშიც ყველა 20 წელზე ზემოთ მყოფი მამაკაცი შედიოდა)

2. სახალხო კრება იღცევდა ერთი წლის ვადით მოხელეებს (ზედიზედ ორჯერ არჩევა არ შეიძლებოდა)

3. სასამართლოს არჩევაში მთელი ათენი მონაწილეობდა, ბრალდებულს წინასწარ არ უნდა სცოდნოდა მოსამართლის ვინაობა)

4.სამხედრო საქმეებს განაგებდა სტრატეგოსთა კოლეგია(სულ 10 კაცი)

5. გამკაცრდა მოქალაქეობის მინიჭების კანონი

6. ხელფასის დანიშვნა

7. პოლიტიკური უფლებები არ ჰქონდა ქალებს , ბავშვებს, მონებს

✓ *სპარტა-ოლიგარქიული მმართველობა*

ათენისგან განსხვავებული იყო სამხრეთ საბერძნეთის პოლისური საზოგადოება. ძვ. წ. XII ს.-ში დორიელთა ტომებმა პელოპონესის სამხრეთით ლაკონიის მიწები დაიპყრეს. აქ ჩამოყალიბებული სახელმწიფოს ცენტრი იყო სპარტა. მოგვიანებით სპარტელებმა (ისინი თავს ლაკედემონელებს უწოდებდნენ) მიწების სიმცირის გამო მეზობელი მესენიის მიწები დაიპყრეს.

სპარტაში ათენისგანგანსხვავებული მმართველობა ჩამოყალიბდა. ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით ათჯერ მეტმა დორიელები დაპყრობილი ხალხის ჰელოტების ხარჯზე ცხოვრობდნენ.

ძვ.წ IX საუკუნიდან შეიძლება ვთქვათ რომ სპარტაში არსებობსსახელმწიფო, სპარტამ დაიმორჩილა მესენია ,ორი სისხლისმღვრელიბრძოლის შედეგად (ძვ.წ VIIIVII). ამ ბრძოლების დროს ჩამოყალიბდასაზოგადოებრივი წყობა ,რომლის კანონმდებლობა

ლიკურგუს უკავშირდება,რომლის დროსაც ჩამოყალიბდა ოლიგარქიული მმართველობა სპარტაში.

ყოველ სპარტელს სახელმწიფოსსაკუთრებაში მყოფი ლაკონიისა და მესეენის მიწა თანაბრად დაენაწილა დროებით მფლობელობაში. ისინი თანასწორები იყვნენ ასევე სხვა ზომებითაც: იდეალურ მებრძოლის აღსაზრდელად წვრთნა,ცხოვრების ყველა სფეროს მკაცრი რეგლამენტაცია, ფულის სამეურნეო საქმიანობის და საგარეო კონტაქტების შეზღუდვა. სპარტელები გამოირჩეოდნენ ასევე არქიტექტურითაც , სპარსელიჯარისკაცები (პირქუშები) ძალიან განსხვავდებოდნენ , მათ ახასიათებდათ მოკლე კონკრეტული , საქმიანი და დახვეწილი ფრაზები. (მათ საუბარს ეწოდება ლაკონიური)

სპარტას სათავეში ედგა ორი მეფე, რომლებიც სარდლის , მოსამართლისა და ქურუმის ფუნქციებს ასრულებდნენ. უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობდა უხუცესთა საბჭო _ გერუსია და სახალხო კრება, მაგრამ რეალურად სპარტას მართავდა ხუთი არჩევითი ეფორიისგან შემდგარი კოლეგია. ისინი აკონტროლებდნენ ყველაფერს , ლიკურგუსის კანონების აღსრულებას სპარტელების მიერ. პოლისის მეურნეობა ემყარებოდა სრულიად უუფლებო ჰელოტებსა და პიროვნულად თავისუფალ მაგრამ პოლიტიკურად უუფლებო პერიეკებს . ჰელოტები მოსავლის მეექვსედს იღებნენ, ხოლო პერიეკები მიწათმოქმედების გარდა ,ვაჭრობით დახელოსნობით იყვნენ დაკავებული. სპარტასთან მიახლოებული წყობა დამყარებული იყო მათ მიერ დაკავებულ ზოგიერთ ოლქში: კრეტა ,არგოსი ,თესალია.

✓ *ბერძნული კოლონიზაცია*

თავდაპირველად პოლისები ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და მეზობელ კუნძულებზე გაჩნდა, შემდეგ კი, ძვ. წ. VIII-VII სს.-დან, ბერძნებმა ახალი მიწების კოლონიზაცია და ახალი ტერიტორიებისათვისება დაიწყეს. განვითარებისა და მატერიალური კეთილდღეობისთვის ზრუნვამ მათ ახალი ტერიტორიების ძებნა დააწყებინა.

„დედაქალაქების“ – მეტროპოლიების მოქალაქეებმა სხვადასხვა ადგილას დასახლება და იქ აპოკიების (ბერძნულად – გადაკარგული ქალაქები), ანუ კოლონიების, დაარსება დაიწყეს. მიზეზად პოლისებში მიწის სიმცირეს ასახელებენ. მეორე მიზეზი ქალაქებში არსებული უთანხმოებები და ხშირად სამოქალაქო ომებიც იყო. ასეთ შემთხვევაში პოლისიდან ახალი, უკეთესი ქალაქის დაარსების სურვილით მიდიოდნენ. ამავე მიზეზით მრავალი გაღარიბებული და ვალებში ჩაფლული ბერძენიც ტოვებდა სამშობლოს. ამ პროცესს ისტორიაში "ბერძნული კოლონიზაცია" ეწოდება.

კოლონიზაცია რამდენიმე მიმართულებით წარიმართა. ბერძნული წყაროების მიხედვით კოლონიზაციის დაწყების უმთავრესი მიზეზი დემოგრაფიული სიტუაცია , მოსახლეობის გადაჭარბებული ტემპით მატება ოყო. კოლონიზაციის აღსანიშნავად ბერძენი ავტორები იყენებენ ტერმნინს „ სტენოხორიას“ შევიწროებულ პირობებში არსებობა : პოლისი ვეღარ იტევდა ჭარბ მოსახლეობას, ვერც პროდუქტით ამარაგებდა. ამ ვითარებაში ბერძენთათვის გამოსავალი ახალ მიწებზე დასახლება იყო. კოლონიზაციის მეორე მიზეზი საშინაო კონფლიქტები იყო, რომლებიც ხშირად სამოქალაქო ომამდეც მიდიოდა.

კოლონიზაცია სამოქალაქო ომისგან თავის არიდების ერთ-ერთი ხერხი იყო- უმცირესობაში აღმოჩენილი ჯგუფი ტოვებდა ქვეყანას ახალი ქალაქების დასაარსებლად. ზღვაოსნობის განვითარებაც ხელს უწყობდა ხელს კოლონიზაციიის პროცესს - გემით მგზავრობა უფრო უსაფრთხო და ხანმოკლე ხდებოდა. იმის შემდეგ , რაც მიწების მაძიებელი ბერძნები (კოლონისტები) ქალაქებს დატოვებდნენ ,ისინი კარგავდნენ უკან დაბრუნების უფლებას. დედაქალაქი (მეტროპოლისი) მათ არავითარ

დახმარებას არ უწევდა. კოლონიის დასაფუძნებლად თავდაპირველად ქალაქის კრებას წარედგინებოდა პროექტი , რომელსაც ის ამტკიცებდა ან უარყოფდა. დამტკიცების შემთხვევაში არისტოკრატიის საბჭო იღებდა გადაწყვეტილებას კოლონიის დაფუძნების პირობების შესახებ და თუვინ უნდა გადასახლებულიყო იქ. ასევე ირჩევდა ექსპედაციის ხელმძღვანელს .

ის ქალაქის არისტოკრატიის წარმომადგენენელი იყო ოიკისტი ეწოდებოდა , მას უნდა ემართა ახლად დაარსებული კოლონიადა ასევე ეხელმძღვანელა მისი თავდაცვითი სისტემისათვის . კოლონიის დაარსებისთვის , ძველბერძნული მითოლოგიურიაზროვნების წესის პირობებში თავიდანვე ჩამოყალიბდა ქალაქ დელფოსში ღვთაება აპოლონის ორაკულისთვის (სამკითხაო) რჩევით მიმართვის წესი.ორაკული საორიენტაციოდ სთავაზობდა ზოგაგეოგრაფიულ არეალს და გამოთქვამდა საკუთარ აზრს ქალაქის მიერ შემუშავებული პროექტების შესახებ.დელფოსის ორაკული კოლონისტებს საბერძნეთიდან წმინდა ცეცხლი მოჰქონდათ და თაყვანს სცემდნენ იმავე ღმერთთა პანთეონს . კოლონისტები მეტრაპოლის ტრადიციებს ინარჩუნებდა, ამის გამო ცვლილებებ ნელი ტემპით მიმდინარეობდა. კოლონისტებმა ვაჭრობის შედეგი დიდი სიმდიდრე დააგროვა . ასევე არანაირი კავშირი არ არსებობდა მეტრაპოლისსა და კოლონიას შორის. ისიც ხდებოდა რომ კოლონია ომის დროს უპირისპირდებოდა მეტროპოლისს .

კოლონიზაციის პერიოდში შექმნილ დასახლებებს დღემდეშემორჩათ ბერძნული სახელები: მასილია (მარსელი),ნეაპოლი,სირაკუზი ,ბიზანტია და ა.შ პროცესი თანდათანობით ნელდება . გაძლიერებულმა ეტრუსკებმა, კართაგენმა და სპარსეთის იმპერიამ წერტილი დაუსვეს ბერძნულ კოლონიუ ექსპანსიას. ბერძნული ახალშენები კოლონიზაციას ხმელთაშუა ზღვის ელინიზაცია მოჰყვა.

დელფოსის ორაკული

ბერძნული კოლონიების ზეგავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზესაკმაოდ დიდი იყო. ძვ.წ VI ს-დან ბერძნებმა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არაერთი ახალშენი დაარსეს. ასეთი იყო, ფაზისი, (ქ.ფოთის მახლობლად) გიენოსი (ოჩამჩირე) ,დიოსკურია(სოხუმთან) ,დიდი პიტიუნტი (ბიჭვინთა) , ასევე ბერძნული სავაჭრო დასახლება აღმოჩენილია ქობულეთ -ბიჭვინთაში.

ბერძნებმა ახალშენები დაარსეს ჩრდილო შავიზღვისპირეთში (ოლვია , პანტიკაპეონი , ხერსონესი) , იქ ბერძნული კოლონისტები ადგილობრივ მოსახლეობაზე გაბატონდნენ და პოლისები შექმნენ .დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებულ ბერძნებს მაღალი კულტურის მატარებელ მოსახლეობასთან მოუხდათ ურთიერთობა , ამიტომ კულტურული ზეგავლენა ორმხრივი იყო ბერძნების ცნობით კოლხეთი დაწინაურებული ქვეყანა იყო.

დასავლეთ საქართველოში ბერძნულ ახალშენებთან ერთად გვხვდება ადგილობრივი ქალაქები. არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ვანის, სამტრედიის რაიონის სოფ. დაბლოგის და საირხეს (ყვირილის ხეობაში) ადგილობრივი განვითარებული ნაქალაქარები, რომლებიც ძვ.წ VIII საუკუნიდან წარმათული კულტის რელიგიურ ცენტრებს წარმოადგენდნენ და ძვ.წ VII -VI საუკუნიდან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრებს წარმოადგენენ. კოლხეთის ერთ-ერთი ქალაქი კუტაია(ქუთაისი) ბერძნულ წყაროებშიც გვხვდება .

ძველი კოლხეთი ძვ.წ VI- II საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში მიმოქცევაშია ადგილობრივი ვერცხლის ფული , კოლხური თეთრი, რაც კოლხეთის განვითარებულობას ადასტურებს. ძვ.წ VI-V საუკუნეებში კოლხეთი წარმოადენს ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებულ სახელმწიფოს ; მრავალრიცხოვანი ქალაქებით , განვითარებული მეტალურგიით . მეტად მწირე ინფორმაციებია ძვ.წ VII -IV საუკუნის კოლხების შესახებ, მაგრამ ვიგებთ რომ კოლხეთის სათავეში ისევ მეფე დგას , რომელიც ბერძენთა ავტორების მტკიცებით ,ლეგენდარული აიეტის შთამომავალი იყო. ცნობებს გვაწვდის სტრაბონი ბერზენიისტორიკოსი და გეოგრაფი . კოლხეთი აიეტის შთამომავლემა მეფეებმა დაჰყვეს სკეპტუხიებად და ისე მმართვადნენ კოლხეთს.სკეპტუხია იყო ქვეყნის ადმინისტრაციული ერთეული, რომლის სათავეში ადგილობრივი არისტოკრატიის წარმომადგენელი იყო. კოლხი წარჩინებულები მკვეთრად განსხვავდებოდნენ რიგითი მოსახლეობისგან. კოლხეთის სამეფო მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა ბერძნებში ასევე წინა აზიაში. სადაც ძლიერებით გამოირჩეოდა მიდია და სპარსეთი, სპარსელებმა კოლხეთის სრული დაპყრობა ვერ შეძლეს , მხოლოდ დახარკვა.

✓ *სასპერები (ქართლი)*

ჰეროდოტე ძალიან მცირე ცნობებს გვაწვდის სასპერების შესახებ,სასპერები აღმოსავლეთ ტომთა მსხვილი გაერთიანება იყო .სამხრეთ დასავლეთით მათი ტერიტორიები აღწევდა მდინარე ჭოროხსაც და მოიცავდა უძლიერეს ოლქს , რომელმაც შემოინახა დღემდე სპერი(დღევანდელი თურქეთი) სახელწოდება, მისგან უნდა მომდინარეობდეს რომაულ წყაროებში იბერი ქართველების დასახლება.ძვ.წ VII საუკუნეში შუაგულ ქართლში დასახლდნენ ხეთურ კულტურას ნაზიარები მესხური ტომები, რომლებმაც აქაურ ტერიტორიებს მისცეს სახელწოდება მესხეთი ,სამცხე(შესაძლოა აქედანვე მიიღო მცხეთამ სახელწოდება ,ქართლის ძველმა ქალაქმა) სასპერები იყო ტომობრივ- თემობრივი ერთეული, რომელთა სათავეში იდგა მამასახლისი (მმართველი), რომელთა შორის გამოირჩეოდა მცხეთის მამასახლისი.

✓ ბერძენ-სპარსელთა ომი

ბერძენ-სპარსელთა ომი ბერძენ-სპარსელთა ომი მსოფლიო ისტორიაში ორი განსხვავებული _ საზღვაო და სახმელეთო _ ცივილიზაციის დაპირისპირების პირველი მაგალითია. ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი განსხვავებული კულტურის მქონე სახელმწიფო _ ევროპული საბერძნეთი და აზიური ირანი.

აქემენიანთა ირანმა ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოდან თავისი ექსპანსია მცირე აზიაში გაავრცელა. დარიოს I-მა დაიპყრო ეგვიპტე, ეგეოსის ზღვის კუნძულები, თავის მხარეზე გადაიბირა ფინიკიელი ვაჭრები. ამან ბერძნული პოლისები ეკონომიკურ მარწუხებში მოაქცია. თვით პოლისების შიგნით დასუსტებული და გავლენა შერყეული არისტოკრატია სპარსელებს უჭერ და მხარს. ამიტომ იყო, რომ სპარსელების ტირანიის წინააღმდეგ აჯანყებულ მცირეაზიელ ბერძნებს მხოლოდ ქალაქი ათენი დაეხმარა და მათი დამარცხა დარიოსის დროს დაიწყო პირველი სამხედრო ექსპედიციები საბერძნეთის წინააღმდეგ.

დარიოსს ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და ხმელთაშუა ზღვის აუზში გაბატონება სურდა. ძვ. წ. 490 წელს სპარსელებმა ფლოტი გადასხეს ეგეოსის ზღვაში. ათენისა და სპარტის გარდა, ყველა ბერძნულმა პოლისმა ცნო სპარსელების უზენაესობა. დარიოსმა ათენის დასჯა გადაწყვიტა და ათენიდან 42 კილომეტრში მარათონის ველზე და ბანაკდა. ათენმა მხოლოდ 10 000 მეომრის შეგროვება მოახერხა. მცირერიცხოვნო ბის მიუხედავად, სტრატეგმა მილტიადემ ბრძოლა სწორი ტაქტიკით წარმართა. მან მარათონიდან ათენისკენ მიმავალი გზა ჩაკეტა. სამი დღე და ღამე სპარსელები და ბერძნები ერთმანეთის პირისპირ იდგნენ.



მილტიადეს გადაწყვეტილებით ბერძნული არმიის მარჯვენა და მარცხენა ფლანგები საგანგებოდ იყო დაცული ხის მორებით. ბერძნებს ამ ხელსაყრელი პოზიციების დათმობა არ სურდათ.

სპარსელებიც არ აპირებდნენ შეტევაზე გადასვლას, მაგრამ ბერძნებს დამხმარე ძალა ემატებოდათ. სპარსელები იძულებული გახდნენ, შეეტიათ. სპარსელებმა ვერ გაუძლეს ბერძნულ ფალანგას და უკუიქცნენ. მარათონის ველზე გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ათენისთვის, არამედ ყველა ბერძნული ქალაქ სახელმწიფოსათვის.

მარათონის გამარჯვებამ იმედ დაკარგულ ბერძნულ პოლისებში აღფრთოვანება გამოიწვია, მაგრამ იმავდროულად გაამწვავა ბერძნულ პოლისებში დაპირისპირება ოლიგარქიასა და დემოკრატიას შორის. ამ შიდა დაპირისპირების გამო აჯანყებები მცირე აზიის ქალაქებში სპარსელებმა ადვილად ჩაახშეს.

მარათონში განცდილი მარცხის შემდეგ აქემენიანებმა გადამწყვეტი ბრძოლისთვის დაიწყეს მზადება. თუმცა ირანში არეულობა დაიწყო. აჯანყდნენ ეგვიპტე და მესოპოტამია. ძვ. წ. 486 წელს ირანის შაჰი გახდა ქსერქსე. მან შეძლო ირანის სამეფოს ერთიანობის აღდგენა და საბერძნეთში შესაჭრელად დაიწყო მზადება. ძვ. წ. 481 წელს შეიკრიბა საერთო ბერძნული კონგრესი. მას უნდა ემსჯელა აქემენიანთა წინააღმდეგ კოალიციის შექმნაზე. კონგრესის დადგენილებით ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების კავშირის ყველა წევრს ევალებოდა სამშობლოს დაცვა. ის ქალაქი, რომელიც სპარსელებს მიემხრობოდა,

სასტიკად უნდა დაესაჯათ. ბერძენთა საერთო ლაშქარს სპარტის მეფე ლეონიდასი უსარდლებდა.

ბერძნები პელოპონესში თერმოპილეს მახლობლად დაბანაკდნენ. ქსერქსეს არმიაც მათკენ გაემართა, რათა აქედან შუა საბერძნეთში შეჭრილიყო. სპარსელებმა ვერ შეძლეს ბერძენთა რიგების გარღვევა. ერთმა მოღალატემ ქსერქსეს მეომრებს საიდუმლო ბილიკი აჩვენა, რომლითაც სპარსელები ბერძენთა ზურგში გაიყვანა.

ლეონიდასმა უკან დახევა და ხელსაყრელი პოზიციების დაკავება ბრძანა. ბერძენთა ძირითადი ჯარის გადასარჩენად ლეონიდასმა თავის სამას სპარტელთან ერთად ქსერქსეს მეომრებს თერმოპილეს ვიწრო გასასვლელთან გად აუღობა გზა. ამით ბერძენთა დანარჩენ სამხედრო ნაწილებს საშუალება მიეცათ, ბრძოლის ველიდან უდანაკარგოდ გასულიყვნენ და ხელსაყრელ ადგილზე გამაგრებულიყვნენ. სამასი სპარტელი გმირულად დაეცა თერმოპილეს გასასვლელთან.



სურ. 4 თერმოპილეს ბრძოლა

ომის წარმოების მეთოდთან დაკავშირებით ათენში ორი სამხედრო ბანაკი დაუპირისპირდა ერთმანეთს: სახმელეთო ბრძოლას არისტიდეს მეთაურობით ემხრობოდა არისტოკრატია და მიწათ მოქმედთა ნაწილი.

ვაჭარ-ხელოსნური დემოსი, თემისტოკლეს მეთაურობით, თვლიდა, რომ სპარსელთა რიცხობრივი უპირატესობის გამო უმჯობესი იყო, ორიენტაცია საზღვაო ბრძოლაზე აეღოთ.

გადაწყდა საზღვაო ბრძოლისთვის მზა დება. ძვ. წ. 480 წელს ათენს უკვე 180 ტრიერი (სწრაფმავალი ხომალდი) ჰყავდა. ქსერქსემ გადაწყვიტა, კუნძულ სალამინთან განლაგებული ბერძენთა ფლოტისათვის შეეტია. ბერძნებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, ქსერქსე იძულებული გახდა, სამშობლოში დაბრუნებულიყო.

მომდევნო, ძვ. წ. 479 წელს ბერძნებმა კიდევ ერთხელ დაამარცხეს დარჩენილ სპარსელთა რაზმები. ამ გამარჯვებების შემდეგ აქემენიანთა იმპერიამ ხელი აიღო საბერძნეთის ქალაქ სახელმწიფოების დამორჩილებაზე.

რამდენიმე წელიწადში ბერძნებმა მთლიანად გაწმინდეს საბერძნეთი სპარსელებისაგან. ათენის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი ძვ. წ. 478 წელს ათენის მეთაურობით შექმნილმა სიმაქიამ _ სამხედრო კავშირმა, რომელიც ყველა ბერძნულ პოლისს აერთიანებდა. კავშირის ხაზინა კ. დელოსზე მდებარეობდა და ყველა კუნძული თუ პოლისი ვალდებული იყო, ათენის ფლოტის შესანახად გარკვეული ოდენობის გადასახადი („ფოროსი“) გადაეხადა. საბოლოოდ, ძვ. წ. 449 წელს კალიასის ზავით გაფორმდა ათენის გამარჯვება.

ლექსიკონი

აკროპოლისი - ბერძნული ქალაქის ყველაზე მაღალი და გამაგრებული ნაწილი.

რეგლამენტაცია - რაიმეს ზუსტად განსაზღვრა ,გარკვეულ წესებზე დაქვემდებარება.

არქონტი- ერთ-ერთი უმაღლესი არჩევითი თანამდებობა ათენში ,სულ ირჩევდნენ 9 არქონტს.

პრიტანეიონი – ათენის საბჭო, რომელიც არისტოკრატიული გვარის წევრებისაგან შედგებოდა.

ევპატრიდები – მიწათმფლობელები, გვაროვნული არისტოკრატია.

გეომორები – წვრილი მიწათმოქმედები.

დემიურგები – ხელოსნები.

ფილე- საგვარეულო გაერთიანება, თემი, მოგვიანებით ატიკაში ტერიტორიული ერთეული, რომელიც თემით იყო დასახლებული.

ფრატრია – რამდენიმე მონათესავე გვარის გაერთიანება, ტომი.

არეოპაგი – ათენის უძველესი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, რომელიც სამეფოს დროს მეფის მრჩევლის ფუნქციას ასრულებდა.არეოპაგის სხდომები ომის ღმერთის, არესის ბორცვზე იმართებოდა.მონარქიის დაქვეითებასთან ერთად გაიზარდა არეოპაგის როლი. ძვ. წ.VII საუკუნიდან ხელისუფლება არეოპაგს ემორჩილებოდა.